კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№10 (1600) 16 — 22 მარტი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

როგორ უჭერს მხარს ევროპავშირი უკრაინას

სანქციებიდან სამხედრო და ჰუმანიტარულ დახმარებამდე – EUNEIGHBOURS East-ის ანგარიში

რუსეთი კიევში ტაძრებს მიწასთან ასწორებს – რატომ დუმს საქართველოს საპატრიარქო

სკანდალური ინტერვიუ ვლადი ნარსიასთან

„ვისაც საქართველოს ეკლესიის მართვის სადავეები უპყრია, მიაჩნია, რომ ამ სისხლის, ომის, კატასტროფის მიზეზი არის დასავლეთი... საქართველოს საპატრიარქოს რუსული ჯგუფი მართავს!“

სოფლის მეურნეობის რა პროდუქტები შემოდის საქართველოში უკრაინასა და რუსეთიდან

შაქრის იმპორტიორი ქვეყნების სრული სია – ვინ არიან ძირითადი მომწოდებლები

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

აქვს თუ არა ჰააგის სასამართლოს 2008 წლის აგვისტოს ომის ბრალდებულების დაკავების მექანიზმები

რეალურად ცოცხალია თუ არა გენერალი ბორისოვი – რას მალავს რუსეთი

ექსკლუზიური ინტერვიუ კიევში მყოფ ქართველთან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„უზარმაზარი დანაკარგი აქვთ რუსებს“ – ლაშა დიაროვის თვალით დანახული ომი

მე-19 დღეა, უკრაინის არმია და მოსახლეობა ღირსეულ წინააღმდეგობას უწევს რუსეთის სამხედრო თავდასხმებს. ათეულობით დაღუპული ბავშვი, დაბომბილი საბავშვო ბაღები და სამშობიარო-საავადმყოფოები, მილიონზე მეტი ლტოლვილი საკუთარი სამშობლოდან და განადგურებული ინფრასტრუქტურა – ეს უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული „სამხედრო სპეცოპერაციის“ შედეგია... საომარ ვითარებაში უკრაინელების დასახმარებლად საქართველოდან არაერთი ადამიანი გაემგზავრა. მათ შორისაა, სტრატეგია აღმაშენებლის წარმომადგენელი ლაშა დიაროვი, რომელსაც „ვერსია“ კიევში დაუკავშირდა:

– სიტუაცია მარტივი არაა. კიევთან ბრძოლა არ შეწყვეტილა. კიევის გარშემო, რუსები ცდილობენ ალყის ორგანიზებას. ბრძოლები მიმდინარეობს ჩრდილოეთით, გოსტომელთან, ბუჩასთან, ირპინთან, ფაქტობრივად, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებია უკვე მერამდენე დღეა და ძალიან მნიშვნელოვანია ეს ქალაქები, რადგან ამ ქალაქების აღების შემთხვევაში, კიევი ალყაში მოექცევა. ჩვენი ბიჭები ყოველნაირად ცდილობენ, დაიცვან ეს ქალაქები და არ მისცენ მტერს წინსვლის შესაძლებლობა. ასევე, ბრძოლა მიმდინარეობს ბრავარის მიმართულებით, რამდენიმე დღის წინ, კონტრშეტევაც კი განახორციელეს უკრაინულმა ძალებმა და გაათავისუფლეს ბრავარი რუსებისგან, თუმცა იქაც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს ბრძოლა.

უზარმაზარი დანაკარგი აქვთ რუსებს, როგორც ბრავარის, ასევე, ჩრდილოეთის მიმართულებითაც. ფაქტობრივად, რამდენიმე რუსული კოლონა გაანადგურეს უკრაინელებმა. ტექნიკის ისეთი დანაკარგი აქვთ, თვალს ვერ გააწვდენ ბოლომდე. უამრავი ჯარისკაცი დაკარგეს რუსებმა, ავიაციის მიმართულებითაც აქვთ საკმაოდ სერიოზული დანაკარგი. რომ არა უკრაინელი ხალხი, მხოლოდ უკრაინული არმია, ალბათ, ვერ მოახერხებდა ასეთ წარმატებულ თავდაცვას. ხალხი მაქსიმალურადაა მობილიზებული, ჩაწერილია ტერიტორიულ, სამოქალაქო თავდაცვაში. ყოველნაირად ცდილობენ – იარაღით, იარაღის გარეშე, „მოლოტოვის კოქტეილებით“, საკვებით... ერთმანეთის დახმარებას და გვერდში დგომას. ეს თანადგომა, კონსოლიდაცია და ერთიანობაა, რაც უკრაინას დღემდე აძლებინებს.

დაბომბვა გრძელდება. დღეს საკმაოდ საინტერესო ამბის მომსწრენი გავხდით, დაახლოებით, 6 რაკეტა ისროლეს რუსებმა და უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემამ ჰაერშივე მოახერხა ამ რაკეტების განადგურება. საბედნიეროდ, კიევში ერთიც არ ჩამოვარდნილა.

რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ხარკოვი დიდი ხანია, ალყაშია და იბომბება, თუმცა ქალაქი არ დანებებულა, იქ უკრაინის დროშა ფრიალებს. ჩვენი ჯარები წინააღმდეგობას უწევენ რუსებს და მტერმა ვერ მოახერხა ვერც ხარკოვის, ვერც ოდესის აღება. სუმის მიმართულებითაც არაერთხელ განხორციელდა თავდასხმა, დაიბომბა ეს ქალაქი, თუმცა მაინც უკრაინელები აკონტროლებენ. დონბასშიც სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს და იქაც არ თმობენ პოზიციებს ჩვენი ბიჭები. თითქმის ყველგან, სადაც რუსებმა სცადეს შემოსვლა, სერიოზული წინააღმდეგობა დაახვედრეს უკრაინელებმა და ბევრი მიმართულებით უკუაგდეს მტერი.

პრობლემა გვაქვს მარიუპოლში, სადაც რამდენიმე დღეა, იწურება საკვების რესურსი, რუსებმა ვითომ „მწვანე დერეფანი“ გააკეთეს ხალხის გამოსაყვანად, მაგრამ დანაღმული აღმოჩნდა და მოსახლეობას გაუხსნეს ცეცხლი. წარმოიდგინეთ, ეს ჩვეულებრივი სამხედრო დანაშაულია! მოსახლეობას შეპირდნენ უსაფრთხო დერეფანს და ესროლეს! ამაზე ამაზრზენი საქციელი აღარ არსებობს და ამას ვეღარ გადააჭარბებენ. საბავშო ბაღებს, სამშობიაროებს ბომბავენ, ყველაფერს კადრულობენ და ამაზრზენად „ამართლებენ“, იმიტომ დავბომბეთ სამშობიარო, რომ სამხედროები იყვნენ შიგნითო. არადა, კადრები ხომ ყველამ ნახეთ, ქალები და ბავშვები იყვნენ მხოლოდ.

– ლაშა, ჩვენ ყველა ვხედავთ ამ საშინელ კადრებს, დაბომბილ მშობიარე ქალბატონებს, დასახიჩრებულ და დაობლებულ ბავშვებს... თქვენ თვალწინ რა ხდება? როგორია ყველაფერ ამის საკუთარი თვალით დანახვა?

– რა თქმა უნდა, მსხვერპლი აქ, კიევშიცაა, თუმცა იმხელა არა, როგორც მარიუპოლსა და ხარკოვში. რასაც ვხედავ, იმას აღგიწერთ – აქ მოხუცები, ქალები, ბავშვები ცდილობენ, დედაქალაქი დატოვონ. სადგურის მოედანზე მოდიან უფასო მატარებლები, რომელთაც მოსახლეობა გაჰყავთ დასავლეთის მიმართულებით. აქ, ამ მონაკვეთში, მობილიზებულია უამრავი ადამიანი: ქალები, ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები, რომლებიც თავის რიგს ელოდებიან. როგორც კი საყვირის ხმა ჩაირთვება, რაც თითქმის გამუდმებითაა, მაშინვე ჩადიან მეტროში, გვირაბში, რომ თავი შეაფარონ. ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა რჩება ქალაქში, მათ შორის, ქალებიც გვერდში უდგანან არმიას და ეხმარებიან ყოველნაირად. რასაც ვხედავ, კიევის მოსახლეობა ყველაფერს აკეთებს ქალაქის დასაცავად.

– ესე იგი, საბრძოლო სულისკვეთება ისევ ნარჩუნდება მოსახლეობაში?

– იმ ქალაქებშიც – მელიტოპოლსა და ხერსონში, სადაც რუსებმა მოახერხეს ოკუპაცია, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მერი აწამეს, მოსახლეობაში მაინც არ დაეცა სულისკვეთება და არ დანებდა... რუსები, იცით, როგორ პოლიტიკას ეწევიან? – ხერსონის მოსახლეობას ჰპირდებიან, ვალებს გაგინულებთო, მაგრამ ასეთი დაპირებების, ძალადობის მიუხედავად, ეს ხალხი არ დანებდა. ყოველდღე გამოდიან, აქციებს მართავენ, შიშველი ხელებით ეწინააღმდეგებიან რუსულ ძალას. ესაა ერის კონსოლიდირება და პატრიოტიზმი, რაც შეგიძლია, ყველაფერს რომ აკეთებ შენი ქვეყნის დასაცავად.

– ჰუმანიტარული პრობლემის წინაშე დგას კიევი? მარიუპოლის გარდა, კიდევ სად არის საკვების პრობლემა?

– ყველაზე მძიმე სიტუაცია მარიუპოლშია. კიევშიც დგას ეს პრობლემა, მაგრამ ჯერჯერობით, საკვები არის. ყველაზე მეტად, მაინც საწვავის პრობლემაა მთელ უკრაინაში. საწვავი ზოგან არაა და სადაცაა, 15-20 ლიტრზე მეტს არ აძლევენ. აქ, მეტ-ნაკლებად, საკვები და მედიკამენტები არის. მარიუპოლს უჭირს ახლა ყველაზე მეტად, რადგან იქ ელექტროენერგია გათიშულია, ხალხი ტელეფონებს ვერ რთავს, რომ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

– ლაშა, ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყოა, რასაც ქართველები აკეთებთ უკრაინაში... თქვენ ომის პირველივე დღიდან კიევში ხართ, არა?

– მე ომამდე ჩამოვედი... ძალიან ამაყი ვარ იმით, რასაც ქართველები აქ აკეთებენ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს „ქართული ლეგიონი“ და მოვუწოდებ პოლიტიკოსებს, მეტი ისაუბრონ ამ ბიჭებზე, რადგან ეს ხალხი მართლა გმირები არიან. ცეცხლის წინა ხაზზე იბრძვიან და თუ ვინმეთი უნდა ვიამაყოთ, პირველ რიგში, ამ ადამიანებით. გიორგი ვაშაძე ძალიან კარგ საქმეს აკეთებს, ეხმარება ქართველებს სხვადასხვა ქალაქიდან გამოსვლაში თანხითაც, ტრანსპორტითაც, საკვებითაც. საზღვარზე გადაჰყავს ადამიანები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქ, ერთი კეთილი სიტყვაც კი მნიშვნელოვანია. ის კი ისეთ საქმეს აკეთებს, ღმერთი არ დაუვიწყებს. რაც შეეხება სხვებს, ვნახე, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ჩამოვიდა და იბრძვის. ამბობენ, რომ ელისაშვილიც ჩამოვიდა, რაც ძალიან მისასალმებელი და სასიხარულოა. ვიღაცებმა გააკრიტიკეს, მაგრამ აქ გასაკრიტიკებელი არაფერია. ისეთი სიტუაციაა, რომ თითოეული ადამიანის ჩამოსვლა მნიშვნელოვანი და გმირობის ტოლფასია, რადგან აქ არ არსებობს უსაფრთხო ადგილი.

– როგორია თქვენი განწყობა ახლა, ომის მე-19 დღეს?

– მალე ერთი თვე გავა, რაც ომი დაიწყო და საბრძოლო განწყობა არ ეცემა იმიტომ, რომ ჩვენ ვართ მართლები. ჩვენ არ დაგვიწყია ომი, სხვის მიწაზე არ ვიბრძვით, თავს ვიცავთ აგრესორისგან. არავის დავუთმობთ უკრაინულ და ქართულ მიწას, არც ერთ ნაბიჯს, არც ერთ სანტიმეტრს და ვიბრძოლებთ ბოლომდე. არ აპირებს არც უკრაინელი და დარწმუნებული ვარ, არც ქართველი ერი დანებებას და იქამდე ვიბრძოლებთ, სანამ არ გავიმარჯვებთ!

31 დასახელების თურქული წამალი, რომელსაც „ფარმადეპოში“ 80%-ით იაფად შეიძენთ!

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზარი ოფიციალურად გაიხსნა. ორი კვირაა, სააფთიაქო ქსელში „ფარმადეპო“ 31 დასახელების მედიკამენტს თითქმის 80%-ით იაფად შეიძენთ. „ვერსია“ ამ მედიკამენტების სრულ ჩამონათვალს გთავაზობთ. ეს განსხვავება რომ უფრო თვალშისაცემი იყოს, ექიმებისა და ფარმაცევტების დახმარებით, ამ მედიკამენტების ძველ ფასებსაც შეგახსენებთ.

ერთ თვეში თურქეთიდან 200-მდე დასახელების მედიკამენტის იმპორტი განხორციელდება

ვიდრე იმ წამლების სრულ სიას გაგაცნობთ, რომლებსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით, თბილისის გარდა, რეგიონებში – გორში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და თელავში, სულ 10 აფთიაქში შეიძენთ, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ თურქეთში, კონკრეტულად ამ ქვეყნისთვის განკუთვნილი მედიკამენტები ხელმისაწვდომია თურქეთში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „ფარმადეპო“ იყო პირველი ქართული ფარმაცევტული კომპანია, რომელმაც ამ მედიკამენტების იმპორტი განახორციელა საქართველოში.

კომპანიაში აცხადებენ, რომ წლების მანძილზე, ისედაც სტაბილურად დაბალ ფასს სთავაზობდნენ მომხმარებლებს. პრემიერის გადაწყვეტილებამ კი უფრო მეტი შესაძლებლობა შექმნა იმპორტის განსახორციელებლად. მეტიც, „ფარმადეპოში“ იმასაც ამბობენ, რომ სულ მალე, თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტები მათი ქსელის ყველა აფთიაქში გაიყიდება და რაც მთავარია, 31 დასახელების გარდა, კიდევ უფრო მეტ მედიკამენტებს შემოიტანს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ზურაბ აზარაშვილმა, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ დაახლოებით ერთ თვეში, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე, თურქეთიდან შემოსული 200-მდე მედიკამენტი იქნება ხელმისაწვდომი. მინისტრის თქმით, საერთაშორისო – GMP სტანდარტის, მაღალი ხარისხის მედიკამენტების იმპორტი საქართველოში ყველა წესისა და კანონმდებლობის სრული დაცვით ხორციელდება.

გთავაზობთ თურქეთიდან იმპორტირებული იმ 31 მედიკამენტის ჩამონათვალს, რომელსაც „ფარმადეპოს“ აფთიაქებში ბევრად იაფად შეიძენთ:

„აკლასტა“ ხსნარი საინფუზიო, ძვალ სახსროვანი დაავადებების სამკურნალო საშუალება – ღირდა 867 ლარი, ახლა 223 ლარია მისი ფასი;

„არიმედექსი“, ჰორმონალური წამალი – ღირდა 80.00 ლარი, ახლა – 13.00 ლარი;

„ატაკანდი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 80.00 ლარი, ახლა – 12.00 ლარი;

„ბეტასერკი“, ვესტიბულარული აპარატის პათოლოგიის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი – ღირდა 36.00 ლარი, ახლა – 8.90 ლარი;

„ბრილინტა“, ანტითრომბოზული და შედედების საწინააღმდეგო საშუალებები – ღირდა 221 ლარი, ახლა – 48.00 ლარი;

„გალვუს მეტი“, დიაბეტის შემთხვევაში გამოსაყენებული მედიკამენტი, შაქრის დამწევი – ღირდა 82.00 ლარი, ახლა – 31.00 ლარი;

„გალვუსი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 64.00 ლარი, ახლა – 31.00 ლარი;

„გლიფორი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 16.00 ლარი, ახლა – 10.00 ლარი;

„გლუკოფაჟი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 35.00 ლარი, ახლა – 9.90 ლარი;

„დიოვანი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 41.00 ლარი, ახლა – 9.00 ლარი;

„ვოლტარენი ემულგელი“, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალება – ღირდა 17.00 ლარი, ახლა – 6.00 ლარი;

„იანუვია“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 122 ლარი, ახლა – 26.00 ლარი;

„იანუმეტი“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 135 ლარი, ახლა – 26.00 ლარი;

„ინსულინი ლანტუსი სოლოსტარ ხსნარი საინექციო“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 238 ლარი, ახლა – 43.00 ლარი;

„კო-დიოვანი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 47.00 ლარი, ახლა – 10.00 ლარი;

„კონკორი“, წნევის მარეგულირებელი საშუალება – ღირდა 19.00 ლარი, ახლა – 8.00 ლარი;

„კრესტორი“ 10 მგ, ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება – ღირდა 56.00 ლარი, ახლა – 7.00 ლარი;

„კრესტორი“ 20 მგ, ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება – ღირდა 111 ლარი, ახლა – 10.00 ლარი;

„პლავიქსი“, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებელი საშუალება – ღირდა 29.00 ლარი, ახლა – 14.00 ლარი;

„სერეტიდი დისკუსი ფხვნილი საინჰალაციო“, ბრონქების კუნთების მომადუნებელი საშუალება – ღირდა 63.00 ლარი, ახლა – 26.00 ლარი;

„სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო“ 80 მკგ, ბრონქების კუნთების მოსადუნებელი საშუალება – ღირდა 67.00 ლარი, ახლა – 30.00 ლარი;

„სიმბიკორტი ტურბოჰალერი ფხვნილი საინჰალაციო“ 160 მკგ, ბრონქების კუნთების მოსადუნებელი საშუალება – ღირდა 84.00 ლარი, ახლა – 15.00 ლარი;

„სირდალუდი“, კუნთების ეფექტური დამამშვიდებელი, ცენტრალური მოქმედების მიორელაქსანტების ჯგუფის სამკურნალო საშუალება – ღირდა 11.00 ლარი, ახლა – 5.00 ლარი;

„ტენორეტიკი“, ჰიპერტენზიის სამკურნალო საშუალება (არტერიული წნევა) – ღირდა 47.00 ლარი, ახლა – 7.00 ლარი;

„ფორქსიგა“, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება – ღირდა 131 ლარი, ახლა – 36.00 ლარი;

„ქსარელტო“ ტაბლეტი 15მგ /TR/ – ღირდა 198 ლარი, ახლა – 55.00 ლარი;

„ჯესი ტაბლეტი“ 0.02მგ+3მგ #28 – ახლა მისი ფასია 19.98 ლარი.

აქვს თუ არა ჰაააგის სასამართლოს 2008 წლის აგვისტოს ომის ბრალდებულების დაკავების მექანიზმები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რეალურად ცოცხალია თუ არა გენერალი ბორისოვი – რას მალავს რუსეთი

ჰაააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, პროკურორმა კარიმ ხანმა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე პირველი დაპატიმრების ორდერები წარუდგინა. „დღეს გავაფორმე მოთხოვნა საქართველოს ვითარებაზე, სამი პირის დაპატიმრებაზე. ესენი არიან: გენერალ-ლეიტენანტი მიხაილ მაირამოვის ძე მინძაევი, რომელიც 2005 წელს დაინიშნა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად და თანამდებობაზე იყო 2008 წლის 31 ოქტომბრამდე; გამლეტ გუჩმაზოვი – დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების დაწესებულების უფროსი გამოძიებით მოცულ პერიოდში;
დავიდ გიორგის ძე სანაკოევი – სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა საკითხებში, გამოძიებით მოცულ პერიოდში“, – აცხადებს პროკურორი.
აღნიშნულ საკითხზე, საგანგებო ბრიფინგი გამართა ევროპელი დემოკრატების ლიდერმა, პაატა დავითაიამ, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემსწავლელ საპარლამენტო კომისიას ხელმძღვანელობდა.
„მნიშვნელოვანი ისტორიული დღეა, რადგან დაიწყო სანქციების გაცემა სეპარატისტებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც აკეთებდნენ ყველაფერს, რათა ქართული მოსახლეობისგან გაწმენდილიყო ცხინვალის რეგიონი, ჩატარებულიყო ეთნიკური წმენდა და დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს, დაუსჯელი აღარ არის. პირველი სანქცია არის დე ფაქტო ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ მინძაევზე და როდესაც დროებითმა საპარლამენტო კომისიამ, ჩემი ხელმძღვანელობით, მოიპოვა მასალები და მტკიცებულებები, რომელიც გადავეცით ჰაააგის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურას, ეს გახდა საფუძველი მინძაევის მიმართ სანქციის გაცემაზე, სადაც მტკიცდება, თუ როგორ გასცა მან ბრძანება 5 აგვისტოს, ერთ-ერთი ქართული სოფლის განადგურებაზე. ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება იყო ეს ჩანაწერი და მინდა, მადლობა გადავუხადო წინა და ამ ხელისუფლების ყველა სამართალდამცავ სტრუქტურას, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ მტკიცებულების წარდგენაში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასეთი მტკიცებულებების მოპოვება, რომელიც გამოყენებულია ბრალის წარდგენის მომენტში, სეპარატისტთა ლიდერების წინააღმდეგ.
აქვე მინდა, ხაზი გავუსვა, რომ არ შეჩერდება სანქციების გაცემა და ძალიან ბევრ ადამიანზე გაიცემა სანქციები, რომლებმაც ქართული სახელწმიფოს წინააღმდეგ ჩაიდინეს დანაშაული. აქვე იკვეთება რუსული გენერალიტეტის კვალი, ერთ-ერთია გენერალი ბორისოვი, რომელიც აღიარებს, რომ ის იყო გორის კომენდანტი, აღიარებს, რომ ცხინვალთან დაიწყო ბრძოლები და გაჩერდა მცხეთასთან. ფაქტობრივად, მისი დანაშაული იკვეთება, სამწუხაროდ, ის გარდაცვლილია, მაგრამ ცოცხლები არიან ის ადამიანები, რომლებიც მასთან ერთად ჩადიოდნენ დანაშაულს. რადგანაც მზადდებოდა დანაშაული 2008 წელს, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც გრძელდება დღეს, რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ, ხდება ადამიანების უფლებების დარღვევა, ეთნიკური წმენდა, სამხედრო დანაშაულები – ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ეს საქმე გაერთიანდეს, რადგანაც იკვეთება, რომ რუსეთის ფედერაციის მოქმედება იყო თანმიმდევრული ოკუპაციასთან დაკავშირებით, საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ გავაერთიანოთ ერთ მტკიცებულებაში ის გენერლები, რომლებიც შტურმავდნენ ცხინვალს, საქართველოს ტერიტორიას და დღეს იღებენ უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ შტურმში მონაწილეობას. ძალიან მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს პირადად პუტინის როლი, რადგან 2008 წლის ომში, მისი როლი დადასტურებულია დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ და დღეს უკვე 39-მა ქვეყანამ მიმართა ჰაააგის პროკურატურას იმასთან დაკავშირებით, რომ პირადად რუსეთის მხედართმთავარია ჩართული საბრძოლო მოქმედებებში, უკრაინის წინააღმდეგ. რადგანაც დროში განგრძობადი დანაშაულია, ხაზს ვუსვამ, რომ 2008 წელიცა და 2022-იც, ერთ საქმეში უნდა გაერთიანდეს ჰაააგის პროკურატურაში და მთელმა გენერალიტეტმა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე უნდა აგონ პასუხი, რაც ჩაიდინეს ქართული და უკრაინული სახელმწიფოების წინაშე“, – განაცხადა დავითაიამ.
„ვერსია“ პაატა დავითაიას დაუკავშირდა.

– ბატონო პაატა, აღსრულების რა მექანიზმი გააჩნია ჰაააგის სასამართლოს სანქციების განსახორციელებლად?

– აღსრულების თემა ძალიან მნიშვნელოვანია. აღსრულება მუშაობს „რომის სტატუსის“ წევრ ქვეყნებზე, რუსეთი კი „რომის სტატუსის“ წევრი არაა. აქედან გამომდინარე, იქ ჰაააგის იურისდიქცია არ ვრცელდება, მაგრამ რუსეთიდან ეს ხალხი ვერსად გავა. სხვა ქვეყანაში რომ გავიდეს, რა თქმა უნდა, ამუშავდება მექანიზმი. პროკურატურას უფლება აქვს, დაავალოს მესამე მხარეს, ჩაატაროს სპეციალური ოპერაცია. საუბარია, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მუშაობაზე, რომელთაც შეუძლიათ, ეს დაკავება განახორციელონ. მინდა, პირდაპირ ვთქვა, რა ელის ამ სანქცირებულ ხალხს. ხანდახან ისეთი ზეწოლის მექანიზმებია რუსეთზე, რომ მათ აიძულებენ, თვითონ ჩაბარდნენ. საქართველოს პროკურატურამ უნდა მიმართოს რუსეთის მხარეს, რათა გადასცეს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ეს ადამიანები და ამის შემდეგ, მათ გადასცენ ჰაააგას. ეს სამართლებრივი ბერკეტია, მაგრამ ეს ადამიანები, შესაძლოა, მოკლას რუსეთმა, რათა მტკიცებულებები მოსპოს.

– ბრიფინგზე თქვით, რომ სანქციებს კიდევ არაერთი ადამიანის მიმართ გამოიტანენ. კერძოდ, ვის გულისხმობდით?

– როდესაც საუბარია ბორისოვზე, ის მარტო ხომ არ მოქმედებდა? აქედან გამომდინარე, მუშაობა ყველაზე მიდის. ესენი არიან „პირველი მერცხლები“. აღსანიშავია, რომ ჯერ სანქცია გაცემული არაა. პროკურორი მიმართავს ჰაააგის პალატას და მაქსიმუმ, ორ კვირაში დაამტკიცებს.

– ანუ, პროკურორის ამ მოთხოვნაზე გადაწყვეტილება ჰაააგის სასამართლომ უნდა გამოიტანოს?

– დიახ.

– ახლა, როდესაც რუსეთი უკრაინაში ომს აწარმოებს, რამდენად მნიშვნელოვანია, ჰაააგის სასამართლომ პროკურორს ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილოს და ერთგვარი პრეცედენტი შექმნას?

– არა მხოლოდ პრეცედენტი, არამედ, რადგან საქართველოსა და უკრაინაშიც ერთი და იგივე ხალხი მონაწილეობდა აგრესიაში, ეს დროში განვრცობადი დანაშაულია და ამიტომ თავისუფლად შეიძლება, ეს საქმეები გაერთიანდეს და პოლიტიკური განაჩენი გამოიტანონ.

„ვერსიას“ პაატა დავითაიამ ექსკლუზიურად გადასცა სრული ჩანაწერი, რომელიც ქართულმა მხარემ მიაწოდა გამოძიებას და რაც საფუძველი გახდა, რომ რუსი მაღალჩინოსნსების დანაშაული დამტკიცებულიყო.

ცნობისთვის: გენერალი ბორისოვი, რომელიც ამ ჩანაწერებში ფიგურირებს და რომელზეც რუსეთის მხარე ამტკიცებს, რომ გარდაცვლილია, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, შესაძლოა, ცოცხალი იყოს და შეცვლილი სახელითა და გვარით, დღემდე, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდეს. ეს ვერსია იმით იხსნება, რომ რუსეთის მხარეს არ აწყობს, დაუშვას პრეცედენტი, საერთაშორისო სასამართლომ განაჩენი გამოუტანოს რომელიმე მაღალჩინოსანს, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მონაწილეობდა.

რუსეთი კიევში ტაძრებს მიწასთან ასწორებს – რატომ დუმს საქართველოს საპატრიარქო

„ვისაც საქართველოს ეკლესიის მართვის სადავეები უპყრია, მიაჩნია, რომ ამ სისხლის, ომის, კატასტროფის მიზეზი არის დასავლეთი... საქართველოს საპატრიარქოს რუსული ჯგუფი მართავს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ორ კვირაზე მეტია, უკრაინა რუსეთისგან სამხედრო თავდასხმებს ღირსეულად იგერიებს. უკრაინის მოსახლეობა, რომელსაც მთელი დასავლური, ცივილიზებული სამყარო სრულ მხარდაჭერას უცხადებს, უპრეცედენტოდ ერთსულოვანია და რუსეთმა, პროპაგანდის მიუხედავად, დღემდე ვერ მოახერხა საკუთარი გეგმის განხორციელება. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პროპაგანდის ნაწილია რუსეთის ეკლესიაც, რომლის მმართველი კირილი უკრაინის ომს იმით ამართლებს, თითქოს რუსეთი უკრაინას „ლიბერალური გარყვნილებისგან“ იცავს. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საპატრიარქოს უკრაინის ომზე მკვეთრი პოზიცია აქამდე არ დაუფიქსირებია და ეს მაშინ, როცა „ერთმორწმუნე“ რუსეთი უკრაინის ეკლესიებს ბომბავს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ხომ არ დადგა დრო, რომ საქართველოს საპატრიარქომ უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდასაჭერად გადაწყვეტილება მიიღოს? – „ვერსია“ თეოლოგ ვლადი ნარსიას ესაუბრა:

– ბატონო ვლადი, პირველ რიგში, განგვიმარტეთ, რას გულისხმობს უკრაინული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოთხოვნა და რა პოზიცია აქვთ ამაზე მსოფლიოს ქრისტიანულ ეკლესიებს?

– ავტოკეფალია ეკლესიის დამოუკიდებლად წარმოქმნის პროცესის კანონიკური დასაბუთებაა. უკრაინას რუსეთის ეკლესია ედავება, რომ არ ჰქონდა დამოუკიდებლად დაბადების კანონიკური უფლება მაშინ, როცა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ამბობს, დიახ, ასეთი უფლება კიევის ეკლესიას ჰქონდაო. ამ პრობლემის ირგვლივ, რუსეთის – კირილის ეკლესიის – საპატრიარქოსა და კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს ხედვის მიხედვით, აზრი იყოფა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ამ საკითხზე მხარს უჭერს ძალიან ბევრი ეკლესია, საქართველოს ეკლესიას კი არ აქვს პოზიცია – ვერ გაურკვევია, არ წაიკითხა ტომოსი, ან ვერ გაიგო, იქ რა წერია. ამ საკითხზე გამართულ არც ერთ მსჯელობაში, საქართველოს საპატრიარქოს მონაწილეობა არ მიუღია და ჩნდება კითხვა – რატომ? ხომ არ აქვს წინასწარ შერჩეული პოზიცია, რომელიც ნაკარნახევი ან იძულებითია რუსეთის ეკლესიის მიერ? ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც ამ საკითხში კარგად გარკვეულ ადამიანებს გვაქვს. ჩვენ საფუძვლიანად ვდებთ ბრალს, რომ ამ ხნის მანძილზე, საქართველოს ეკლესიამ ვერ გამოკვეთა თეოლოგიურად გამართული პოზიცია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით. ჩვენი დასაბუთებული ეჭვია, რომ ამის მიზეზი ის პრორუსული ორიენტაციის მქონე უმაღლესი სასულიერო იერარქიაა, რომელიც მართავს საქართველოს ეკლესიას. დღეს ეს გამოხატულია ოფიციალური ჯგუფით, ეს არის „ტახტის მცველი“ და არა – მოსაყდრე, შიოს ჯგუფის სახით, ეს გამოკვეთილად რუსული ჯგუფია, რომელიც ატარებს რუსულ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიხედვით, არ უნდა იქნას აღიარებული უკრაინის ავტოკეფალია.

– რუსეთი უკრაინას თავს დაესხა და კიდევ ერთხელ დაიმსხვრა მითი „ერთმორმწმუნეობის“ შესახებ. ამ გარდამტეხ პროცესში, მნიშვნელოვანია თუ არა, რომ საქართველოს ეკლესიამ ახლა მაინც მიიღოს გადაწყვეტილება უკრაინის ავტოკეფალიის მხარდასაჭერად?

– ვეცდები, ფილოსოფიური კონტექსტი მოვუძებნო ამ ომს – ეს არაა ომი მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას შორის. ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი ამბობს, რომ რუსეთმა ომი, სინამდვილეში, დასავლეთს გამოუცხადა. ძალიან მნიშვნელოვანია, ეს საკითხი წამოვწიოთ წინ, როცა გვინდა, საქართველოს ეკლესიის რამე პოზიცია გავაანალიზოთ, რადგან მისი განცხადებები სხვა არაფერზე მიუთითებს, თუ არა იმაზე, რომ რუსეთის პატრიარქ კირილის მსგავსად სჯერა, ეს არის ბრძოლა „წმინდა რუსეთსა“ და „გარყვნილ დასავლეთს“ შორის. ამიტომაცაა სწორედ ის მესიჯები გაჟღერებული უმაღლესი სასულიერო იერარქების მხრიდან და ისეთი შეფარული ტექსტები, სადაც რუსეთი საერთოდ არაა ნახსენები; სადაც გამოყენებულია ტერმინები: „ზოგიერთი“, „ვიღაც“... სადაც ნაგულისხმევია, რომ ამ ომის პროვოცირება გამოიწვია დასავლეთმა. 2008 წელს, პატრიარქმა თქვა, ჩვენ რუსებთან ძმობა გვქონდა ისტორიულად, ეს ვიღაცას შეშურდა და იმიტომ მოხდა ომიო... რას არქმევს „ძმობას“, გაუგებარია. ერთ ნორმალურ ისტორიკოსს მაინც, მსგავსი რამ დაუწერია? ეს „ვიღაც“ კი, დაშიფრული სიტყვით, დასავლეთია... ახლა სრული სიცხადით ჩანს, რომ რუსეთმა დაიწყო ომი უკრიანის ტერიტორიაზე და ამას თვითონვე ამბობს, მაგრამ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები გამოდიან და აცხადებენ, ზელენსკი მამათმავალია, ლგბტ საზოგადოებას უჭერს მხარს, დასმულია და გააჩნია პროგრამა დასავლეთიდანო. მთელი პროპაგანდა რუსეთში, სწორედ ამაზეა აგებული.

– თქვენი ინფორმაციით, წმინდა სინოდში არის თუ არა პროდასავლური ძალა?

– არ ვიყენებ ტერმინს – „პროდასავლური“. „პრორუსულს“ როცა ვამბობ, მის საპირისპირო თეზაში ვგულისხმობ ქრისტიანობას. რუსეთი და რუსული იმპერიალისტური მართლმადიდებლობა, დიდი ხანია, დასცილდა ქრისტიანობას. საქართველოში ერთ უმაღლეს სასულიერო იერარქსაც არ ვთხოვ, იყოს პროდასავლური, არამედ, ვთხოვ, რომ იყოს ქრისტიანული, სახარებისეული პრინციპების ერთგული. რატომ უნდა იყოს პროდასავლური? დასავლური კულტურა და ცივილიზაცია არსებითად ქრისტიანულია და ასეც რომ არ იყოს, ჩვენ, ქრისტიანებს, არაფერი გვაქვს საძებნი სხვა ცივილიზაციებსა და კულტურაში. ქრისტიანობა სრულფასოვანი და თვითკმარია ჰუმანური იდეების მოსაძებნად, არ გვჭირდება არსად გახედვა.

დოსითეოს ბოგვერაძე – არის ასეთი ეპისკოპოსი ბრიუსელში, რომელიც მოუწოდებს, დავიწყოთ განხილვა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭებაზეო. ასევე, დიმიტრი შიოლაშვილი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში განვითარებული პრობლემებით, რაც დაიწყო მამალაძის დაკავებით და ის, როგორც მსხვერპლი, შეეწირა ამ პროცესს... დღეს, ყველამ ვიცით, რომ ამ პროცესების მთავარი ორგანიზატორი დიმიტრი შიოლაშვილია, უკიდურესად დისკრედიტირებული, ამორალური – თავისი ცხოვრების წესით და სრულიად მიუღებელი ავტორიტეტით... ასევე, არიან სასულიერო იერარქები, რომლებიც ძალიან წვრილ ხმაზე, თითქოს „პრადვინუტულ“ განცხადებებს აკეთებენ ამ კრიტიკულ დროს. საბოლოოდ, ის ხდება, რომ მათი ეს მოწოდებები შემოტრიალდება ხოლმე და სიმართლის საწინააღმდეგოდ მუშაობს.

– რას გულისხმობთ?

– როცა ამ ხნის მანძილზე, კრიტიკულ დროს, ვაწარმოებდით წინააღმდეგობას საქართველოს ეკლესიის მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიუღებლობასთან დაკავშირებით და ვამბობდით, რომ ეს არ არის ქრისტიანული პოზიცია, უამრავი ეპისკოპოსი, სასულიერო პირი მოქმედებს სახარების პრინციპების საწინააღმდეგოდ, ეს ადამიანები არასდროს, რეალურ ბრძოლაში, ჩვენს მხარეს არ იჭერენ, ჩუმად არიან. ახლა კი, როცა სისხლისფერი აქვს ყველაფერს, უკრაინაში ომია და ადამიანების მგრძნობელობა მაქსიმალურადაა გაზრდილი, გამოდიან და კეკლუცობენ, ვითომ სწორი და გამართული პოზიცია აქვთ.

– ბატონო ვლადი, გასაგებია, ისეთი სიტუაციაა, სიფრთხილე გვმართებს, მაგრამ საქართველოს საპატრიარქოს უნდა გაეკეთებინა თუ არა განცხადება იმასთან დაკავშირებით მაინც, რომ უკრაინაში ეკლესიები იბომბება?

– რის ახსნასაც ვცდილობ, ისაა, ვისაც რეალურად საქართველოს ეკლესიის მართვის სადავეები უპყრია, მისი ხედვა მოცემული კონფლიქტის მიმართ, ასეთია – მიაჩნია, რომ ამ სისხლის, ომის, კატასტროფის მიზეზი არის დასავლეთი. რა უნდა გააკრიტიკოს, როცა ასე მიაჩნია? – ვერ იტყვის ხმამაღლა, რომ ამის მიზეზი დასავლეთია, მაგრამ ვერც იმას იტყვის, რომ რუსეთია ამის მიზეზი, ამიტომაც არ ამბობენ არაფერს, როცა იბომბება ეკლესიები და ამდენი ადამიანი იღუპება. ისინი უყურებენ ეკრანებს და ობიექტურობის განცდის სრულიად განსხვავებული ხედვა აქვთ. ამბობენ, რომ ამ მსხვერპლის, ეკლესიების დანგრევის მიზეზი დასავლეთია, რადგან ის პროვოცირებს ომს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – როგორ შეიძლება, ამაზე თვალი დახუჭოს ეკლესიამ, სასულიერო იერარქიამ და ამას არ დაარქვას ბოროტება?... ხომ ვხედავთ, რას ამბობენ: „ზოგიერთ ქვეყანაში არის ომი“ – ეს სპეციალურად, იმის გამოა ნათქვამი, რომ სახელი არ დაერქვას იმას, რაც ბოროტებაა.

– ბატონო ვლადი, საინტერესოა, რა მდგომარეობაა აფხაზეთის თვითგამოცხადებულ ეკლესიაში. ხომ არ გააქტიურდნენ ახლა, როცა უკრაინაში ომი მიმდინარეობს?

– ომამდე ცოტა ადრე, რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფმა ბესარიონ აპლიამ რამდენიმე ღონისძიება მოაწყო და სთხოვდა რუსეთის საპატრიარქოს, მასზე დაქვემდებარებული სამრევლო და ეკლესია გამოეცხადებინა კანონიკურად. ესაა ერთადერთი, რისი თქმაც შეიძლება მიმდინარე პროცესების ფონზე. ძალიან ბევრ რამეს გადაწყვეტს უკრაინაში ომი და დიდი სურვილი მაქვს, გაიმარჯვოს სიმართლემ, რომელსაც იცნობს სამყარო, პუტინისა და კირილისგან განსხვავებით. ეს ყალბი სამყარო უნდა დასრულდეს და მისგან უნდა გათავისუფლდეს არა მარტო რუსეთი, არამედ, მთელი სამყარო და უპირველესად საქართველო, რომელიც ცხოვრობს ამ სიყალბეში და კვაზი– რეალურ სამყაროში რუსეთთან ერთად, უკვე რამდენიმე ათეული წელია. ამ ყალბი სამყაროს შექმნის მთავარი გენერატორი კი საქართველოს საპატრიარქოა ათეული წლის მანძილზე, რომელსაც გამოთაყვანებული ჰყავს მრევლი.

– იმას გულისხმობთ, რომ რუსეთის დასუსტება იქნება გარდამტეხი ეკლესიაში განვითარებული პროცესებისა?

– ბევრ რამეზე ექნება გავლენა იმას, თუ როგორ დასრულდება ეს ომი, მათ შორის, რა თქმა უნდა, საეკლესიო პოლიტიკაზე. ჩვენი აქტიურობის გარეშე, არაფერი მოხდება, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ თუ საქართველოს საპატრიარქოს არ ექნება იმედი, რომელსაც გრძნობენ კირილის „კაგებეშნიკური“ ეკლესიისგან, გაცილებით მარტივი იქნება საქართველოს საპატრიარქოზე რაღაც ტიპის გავლენის მოხდენა ან მათი დიალოგზე წამოყვანა. ამ თვალსაზრისით, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ამ საკითხებში და გარკვეული ცვლილებების გამოწვევა, მნიშვნელოვანია. ღმერთმა ქნას, რუსეთის ძალა დასრულდეს და თუ ასე მოხდება, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვლება უკეთესობისკენ.

სოფლის მეურნეობის რა პროდუქტები შემოდის საქართველოში უკრაინასა და რუსეთიდან

მაკა რუხაძე

20 დღეა, უკრაინა გმირულად იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ფინანსური სანქციები უკვე მუშაობს – რუსული რუბლი გაუფასურებულია, რუსეთის ეკონომიკა კი დეფოლტის საფრთხის წინაშეა. ანალიტიკოსების შეფასებით, რუსეთს ეკონომიკური კოლაფსი ელის. ამავდროულად, რუსეთიცა და უკრაინაც საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია და ფაქტია, ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები ჩვენს ეკონომიკაზეც აისახება. ამის პრეცედენტი გასულ კვირას უკვე დაფიქსირდა – აბსოლუტურად გაუაზრებლად და უსაფუძვლოდ, თბილისის რამდენიმე მსხვილ სავაჭრო ქსელში, შაქრის დეფიციტი გაჩნდა. მანამდე ხმა გავარდა – არიქა, შაქარი ძვირდებაო და დასტრესილ-დაპანიკებული მოსახლეობა სავაჭრო დახლებს შეესია. არადა, პანიკის საფუძველი არ არსებობს, რადგან ქვეყანას შაქრის საკმარისი მარაგი გააჩნია და რაც მთავარია, რუსეთის სამხედრო ინტერვენციას უკრაინაში ირიბი შეხებაც კი არ აქვს შაქრის სავარაუდო ან მოსალოდნელ გაძვირებასთან და ეს იმიტომ, რომ საქართველოში შაქარი რუსეთიდან ან უკრაინიდან კი არა, ბრაზილიიდან შემოგვაქვს!

შაქრის იმპორტიორი ქვეყნების სრული სია – ვინ არიან ძირითადი მომწოდებლები

ძირითადი პროდუქტები, რაც რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში შემოდის, ფქვილი, რძის ნაწარმი, ტკბილეული, გაყინული ხორცი და ხორცპროდუქტები, ასევე, კვერცხი და სხვადასხვა ბურღულეულია. „ვერსია“ დაინტერესდა, კვების კონკრეტულად რა პროდუქტები შემოდის უკრაინასა და რუსეთიდან საქართველოში და შესაბამისი კითხვით სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მიმართა. უწყებამ უმოკლეს ვადებში გვიპასუხა და სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტების სრული ნუსხა გადმოგვცა, რაც 2020-2021 წლებში, საქართველოში ამ ორი ქვეყნიდან შემოვიდა. ვინაიდან, პროდუქტების ჩამონათვალი იდენტურია, ქვეყნების მიხედვით მათ დაყოფას აზრი არ აქვს. შესაბამისად, მთლიან ჭრილში გთავაზობთ იმ პროდუქტების სრულ სიას, რაც რუსეთიდან და უკრაინიდან შემოგვაქვს.

„საქსტატის“ ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში შემოდის:

ცხენები, ვირები, ჯორები და ჯორცხენები – ცოცხალი; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი -ცოცხალი; ღორები – ცოცხალი; დანარჩენი ცოცხალი ცხოველები; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – ახალი ან გაცივებული; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი – გაყინული; ღორის ხორცი – ახალი, გაცივებული ან გაყინული; ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის – ახალი, გაცივებული ან გაყინული; ცოცხალი თევზი; თევზის ფილე და თევზის სხვა ხორცი – ახალი, გაცივებული ან გაყინული; თევზი ხმელი, დამარილებული ან მარილწყალში, შებოლილი; კიბოსნაირნი; მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები.

რძე და ნაღები – შეუსქელებელი და შაქრის დამატების გარეშე; რძე და ნაღები -შესქელებული ან შაქრის დამატებით; დო, იოგურტი, კეფირი; რძის შრატი – შესქელებული ან შეუსქელებელი; ნაღების კარაქი და რძის სხვა ცხიმები; რძის პასტები; ყველი და ხაჭო; ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით – ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული.

პომიდორი – ახალი ან შეყინული; ხახვი თავიანი, ხახვი შალოტი, პრასი, ნიორი და სხვა ხახვისმაგვარი ბოსტნეული; სტაფილო, თალგამი, ჭარხალი და სხვა ანალოგიური საკვებად ვარგისი ძირნაყოფები; გამხმარი ბოსტნეული, მთელი, დაჭრილი, შემდგომი დამუშავების გარეშე; პარკოსანი ბოსტნეული გამხმარი მანიოკი, ვესტინდური მარანთა, სალეპი, მიწის მსხალი, კარტოფილი ტკბილი და სხვა.

კაკალი ქოქოსის, ბრაზილიური და კეშიუ; თხილი და სხვა კაკალი; ვაშლი, მსხალი და კომში, სხვა ახალი ნაყოფები, გამხმარი ახალი ნაყოფები; ყავა – მოხალული ან მოუხალავი; ჩაი – არომატიზებული ან არაარომატიზებული.

პილპილი, ვანილი, დარიჩინი და დარიჩინის ხის ყვავილები, მიხაკი, ჯავზი, მაცისი და ილი; თესლი ანისულის, იფნურას, ცერეცოს, ქინძისა და სხვა თესლები; კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები.

ხორბალი და მესლინი; ქერი; სიმინდი; სორგო მარცვლოვანი; წიწიბურა, ფეტვი და სხვა მარცვლეული; ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი; ასევე, სხვა მარცვლეულის ფქვილი; ბურღული, უხეშად დაფქული ფქვილი და მარცვლეულის გრანულები; დამუშავებული მარცვლოვანების მარცვალი; წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი და ფხვნილი გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულისაგან; ალაო – მოხალული ან მოუხალავი; სახამებელი, ინულინი; სოიოს ცერცვი – დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი; არაქისი; სელის თესლი – დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი; მზესუმზირის თესლი – დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი; სხვა ზეთოვანი კულტურების თესლი და ნაყოფები – დამსხვრეული ან დაუმსხვრეველი; სვიის გირჩები.

მცენარეები პარფიუმერიის, ფარმაცევტული და ანალოგიური მიზნებისათვის; ვარდტუხტის ხის ნაყოფი, ნაყოფის კურკები და გულები; მარცვლეულის ჩალა და ბზე; თალგამურა, პირუტყვის საკვები ძირნაყოფები და ანალოგიური საკვები საშუალებები; მცენარეული წვენები და ექსტრაქტები; მცენარეული წარმოშობის მასალები, ძირითადად, დასაწნავად გამოსაყენებელი; ცხიმოფლი და მისგან მიღებული ცხიმოვანი ნივთიერებები; სოიას ზეთი და მისი ფრაქციები; არაქისის ზეთი და მისი ფრაქციები; სხვა ზეთები და მათი ფრაქციები მიღებული მხოლოდ ზეთისხილისაგან; პალმის ზეთი და მისი ფრაქციები – არარაფინირებული ან რაფინირებული; ზეთი მზესუმზირისა, ალისარჩულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები; ზეთი ქოქოსის, პალმის ნაყოფის გულისა ან ზეთი ბაბასუსი და მათი ფრაქციები; ზეთი რაფსისა ან მდოგვისა და მათი ფრაქციები; დანარჩენი არააქროლადი მცენარეული ცხიმები და ზეთები და მათი ფრაქციები; ცხიმები და ზეთები ცხოველური ან მცენარეული და მათი ფრაქციები, შემდგომი დამუშავების გარეშე მარგარინი.

ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები ხორცის – ხორცის სუბპროდუქტებისაგან; მზა ან დაკონსერვებული თევზი; ზუთხის ხიზილალა და მისი შემცვლელები; მზა ან დაკონსერვებული კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები.

შაქარი; შაქარი სხვა სახეობებისა; საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან, რომლებიც არ შეიცავენ კაკაოს; კაკაო-ზეთი, კაკაო-ცხიმი; კაკაო-ფხვნილი შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატების გარეშე; შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები.

ალაოს ექსტრაქტი; სპაგეტი, მაკარონი, ვერმიშელი, ატრია და მაკარონის სხვა ნაწარმი; მზა კვების პროდუქტები, მიღებული პურეული მარცვლოვანების გაფუებით ან მოხალვით; პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, შაქარლამა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული.

ბოსტნეული, კაკალი და საკვებად ვარგისი მცენარის სხვა ნაწილები – ძმარში დამზადებული; პომიდორი ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული; ბოსტნეული სხვა, ძმრის დამატების გარეშე, დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული; ბოსტნეული სხვა, ძმრის დამატების გარეშე, დამზადებული ან დაკონსერვებული, გაუყინავი; ჯემი, ხილ-კენკროვანი ჟელე, მარმელადი და სხვა; ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული; ხილისა და ბოსტნეულის წვენები; ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები; საფუარი, მზა საცხობი ფხვნილები; პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები, მდოგვი; მზა წვნიანები და ბულიონები და ნამზადები მათ მოსამზადებლად; ნაყინი და საკვები ყინულის სხვა სახეობები.

კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი; წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით (ლიტრი); ლუდი (ლიტრი); ყურძნის ნატურალური ღვინოები (ლიტრი); ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები (ლიტრი); ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80% ან მეტი (ლიტრი); ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები (ლიტრი, 100% სპირტი); ძმარი და მისი შემცვლელები, მიღებული ძმარმჟავასაგან; ფქვილი და გრანულები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირებისაგან; ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები; კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები – მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას; კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები – მიღებული მცენარეული ცხიმების ექსტრაჰირებისას;

ცხოველთა საკვებად გამოსაყენებელი მცენარეული წარმოშობის პროდუქტები; ცხოველების საკვებად გამოსაყენებელი პროდუქტები.

P.S. როგორც სტატიის დასაწყისში გითხარით, შაქარი საქართველოში ბრაზილიიდან შემოდის, თუმცა „საქსტატიდან“ ამ პროდუქტის იმპორტიორი ქვეყნების სიაც ოფიციალურად გამოვითხოვეთ: შაქარი საქართველოში შემოდის ბრაზილიიდან, თურქეთიდან, პოლონეთიდან, მექსიკიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, ბელარუსიდან, აზერბაიჯანიდან, კოლუმბიიდან. მცირე რაოდენობა შემოდის უკრაინიდან, რუსეთიდან, ასევე იტალიიდან, სომხეთიდან, ესპანეთიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, უნგრეთიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, ავსტრიიდან, ერაყიდან, ქუვეითიდან და ლატვიიდან.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ

სანქციებიდან სამხედრო და ჰუმანიტარულ დახმარებამდე – EUNEIGHBOURS East-ის ანგარიში

უკრაინაში რუსეთის შეჭრის პასუხად, ევროკავშირის ლიდერებმა და ინსტიტუტებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის აგრესია და მის მიერ საერთაშორისო კანონების დარღვევა. მათ მოსთხოვეს რუსეთს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები და უპირობოდ გამოიყვანოს ყოველგვარი ძალები და სამხედრო ტექნიკა უკრაინის მთელი ტერიტორიიდან. ევროკავშირი ასევე მოითხოვს, რომ რუსეთმა პატივი სცეს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

ევროკავშირი საქმითაც ამტკიცებს თავის მხარდაჭერას უკრაინისადმი. ისტორიაში პირველად, ის აფინანსებს იარაღისა და სხვა აღჭურვილობის შესყიდვას და იმ ქვეყნისთვის მიწოდებას, რომელიც ევროკავშირის წევრი არ არის. ამავდროულად, ევროკავშირი აძლიერებს სანქციებს, როგორც კრემლის, ისე ბელორუსში, ლუკაშენკოს რეჟიმის წინააღმდეგ.

ევროკავშირმა განაცხადა, რომ აწესებს „უმკაცრეს სანქციებს“ რუსეთის წინააღმდეგ. ვის და როგორ ეხება ეს შეზღუდვები?

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უდიდესია ევროკავშირის ისტორიაში. მათი მიზანი რუსეთის ეკონომიკისა და კრემლისთვის მძიმე დარტყმის მიყენებაა. ევროკავშირი, თავის პარტნიორებთან და მოკავშირეებთან – ნატო-სთან, დიდი შვიდეულის ქვეყნებთან, აშშ-სთან, გაერთიანებულ სამეფოსთან, კანადასთან, ნორვეგიასთან, სამხრეთ კორეასთან, იაპონიასა და ავსტრალიასთან ერთად, ამ ეტაპისთვის, სანქციების ხუთ პაკეტზეა შეთანხმებული.

პირველი სანქცია ევროკავშირმა 23 თებერვალს, რუსეთის მიერ დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საპასუხოდ მიიღო. მეორე დღეს, 24 თებერვალს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, მეორე პაკეტი დამტკიცდა. 26 თებერვალს, 28 თებერვალსა და 9 მარტს კი ევროკავშირმა კიდევ უფრო მკაცრი სანქციები დააწესა.

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ევროკავშირმა რუსეთის რვა ბანკი SWIFT-ის სისტემიდან გათიშა. SWIFT – საერთაშორისო ფინანსური ტრანზაქციების მსოფლიოში უდიდესი საკომუნიკაციო სისტემაა. აღნიშნული ნაბიჯი რუსულ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს ეკონომიკური ოპერაციების ჩატარების უნარს მნიშვნელოვნად უზღუდავს. კერძოდ, ისინი ვერ შეძლებენ, როგორც იმპორტირებული საქონლის ფასის გადახდას, ისე ექსპორტირებული პროდუქტისთვის საფასურის მიღებას. ეს ყველაფერი რუსეთს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს შეუქმნის.

გარდა ამისა, ევროკავშირმა დააწესა სანქციები რუსეთის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტია. ეს ზომები იმ მილიარდობით დოლარის პარალიზებას იწვევს, რომელიც რუსეთს უცხოეთში რეზერვის სახით აქვს და, პოტენციურად, პუტინის რეჟიმს დაფინანსების წყაროს უკეტავს. ამის შედეგად, მას ომის წარმოებისთვის გაცილებით ნაკლები ფული ექნება.

ევროკავშირის სანქციები რუსეთს უმნიშვნელოვანეს კაპიტალის ბაზრებზე უზღუდავს წვდომას. ეს სანქციები ევროკავშირის სავაჭრო ბირჟებზე რუსეთის სახელმწიფო კომპანიების აქციებით ნებისმიერი სახის ოპერაციას კრძალავს. ამასთან, ახალი ზომები მნიშვნელოვნად ზღუდავს რუსეთიდან ევროკავშირში ფინანსების გადინებას. ამის მისაღწევად აიკრძალა: ევროკავშირში რუსეთის მოქალაქეებისა და რეზიდენტებისგან გარკვეულ ღირებულებაზე მაღალი დეპოზიტების მიღება, რუსი კლიენტების ანგარიშების არსებობა ევროკავშირის ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ საცავებში და რუსი კლიენტებისთვის ფასიანი ქაღალდების ევროში მიყიდვა. სანქციები კრიპტოაქტივებზეც ვრცელდება.

ამ სანქციების სამიზნეა რუსეთის საბანკო ბაზრის 70% და უდიდესი სახელმწიფო კომპანიები – მათ შორის ისინიც, რომლებიც თავდაცვის სფეროში ფუნქციონირებენ. დაწესებული შეზღუდვების მეშვეობით, რუსეთში მოიმატებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები, გაიზრდება ინფლაცია და თანდათანობით ჩამოიშლება რუსეთის სამრეწველო ბაზა. ამასთან, რუსეთის ელიტას აღარ შეუძლია თავისი საბანკო ანგარიშებისა და ქონების ევროპაში უსაფრთხოდ გადამალვა.

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘ

ევროკავშირმა დაკეტა ევროპის საჰაერო სივრცე რუსეთის მფლობელობაში მყოფი ან რუსეთში რეგისტრირებული ყველა თვითმფრინავისთვის – მათ შორის კერძო თვითმფრინავებისთვის. ამ თვითმფრინავებს აღარ შეუძლიათ ევროკავშირის ტერიტორიაზე დაშვება, ამ ტერიტორიიდან აფრენა ან მის თავზე გადაფრენა.

გარდა ამისა, ევროკავშირმა საავიაციო და კოსმოსური წარმოების საქონლისა და ტექნოლოგიების რუსეთში ექსპორტი აკრძალა, ასევე აიკრძალა ამ საქონელთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული დაზღვევისა თუ ტექნიკური მომსახურების სერვისებიც. ეს სანქციები ერთობ ეფექტიანია, რადგან რუსეთის კომერციული თვითმფრინავების ამჟამინდელი ფლოტის სამი მეოთხედი ევროკავშირში, აშშ-სა და კანადაშია წარმოებული.

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ევროკავშირი ნავთობგადამამუშავებელ წარმოებაში გამოყენებული კონკრეტული საქონლისა და ტექნოლოგიების რუსეთისთვის მიყიდვას, მიწოდებას, გადაზიდვას ან ექსპორტს კრძალავს. მან ასევე დააწესა შეზღუდვები შესაბამისი მომსახურებების მიწოდებაზეც.

ექსპორტზე ამგვარი აკრძალვის დაწესებით, ევროკავშირი აზარალებს რუსეთის ნავთობის სექტორს და არ აძლევს მას ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების განახლების საშუალებას.

ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ

ევროკავშირმა დააწესა შეზღუდვები ორმაგი დანიშნულების პროდუქციისა და ტექნოლოგიის ექსპორტზე. შეზღუდვები დაწესდა იმ ტიპის საქონლისა და ტექნოლოგიის ექსპორტზეც, რომლებმაც რუსეთის თავდაცვისა და უშიშროების სექტორის ტექნოლოგიურ გაძლიერებას შეიძლება შეუწყოს ხელი. აქ შედის ისეთი პროდუქცია, როგორიცაა ნახევარგამტარები და მოწინავე ტექნოლოგიები.

9 მარტს, ევროკავშირმა დააწესა დამატებითი შეზღუდვები საზღვაო ნავიგაციისა და რადიოკომუნიკაციის ტექნოლოგიების ექსპორტზე. მან რუსეთის ნაოსნობის საზღვაო რეგისტრი იმ სახელმწიფო ორგანიზაციების სიაში შეიყვანა, რომლებიც ფინანსურ შეზღუდვებს ექვემდებარებიან. გარდა ამისა, საზღვაო უსაფრთხოების აღჭურვილობის ექსპორტისთვის წინასწარი ინფორმაციის გაზიარების პირობა დაწესდა.

ᲛᲔᲓᲘᲐ

ევროკავშირმა, თავის ტერიტორიაზე, რუსეთის სახელმწიფო მედიასაშუალებების – Sputnik-ის, RT/Russia Today-ის, ასევე RT/Russia Today და RT/Spanish) სამაუწყებლო საქმიანობა შეაჩერა.

ეს შეზღუდვა ძალაში იქნება მანამ, სანამ არ შეწყდება აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. ვიდრე რუსეთის ფედერაცია და მასთან ასოცირებული მედიასაშუალებები არ შეწყვეტენ ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნებისადმი მიმართულ დეზინფორმაციასა და ინფორმაციით მანიპულირებას.

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ

შემზღუდველი ზომები ამჟამად, სულ, 862 ფიზიკურ და 53 იურიდიულ პირზე ვრცელდება. სიაში შეყვანილ პირებს აქტივები გაეყინათ და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდათ. გარდა ამისა, მათ ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის ან ტრანზიტით გადაადგილების უფლებაც ჩამოერთვათ.

ამ სიაში არიან: რუსეთის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რუსეთის მხრიდან ორი სეპარატისტული რეგიონის – დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებლობის აღიარებას და რუსეთის სახელმწიფო „დუმის“ ყველა წევრი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რუსეთის ფედერაციას და აღნიშნულ ორ სეპარატისტულ რეგიონს შორის დადებულ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

სიაში მოხვდნენ ნავთობის, საბანკო და საფინანსო სექტორებში, მეტალურგიულ, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტულ, ტელეკომუნიკაციისა და ციფრულ მრეწველობაში დასაქმებული ოლიგარქები თუ ბიზნესმენები, მთავრობის წევრები, მაღალი რანგის სამხედრო პირები და პროპაგანდისტები. ყველა მათგანი უკრაინის საწინააღმდეგო პროპაგანდას ავრცელებს და მოსახლეობაში რუსეთის ინტერვენციაზე დადებითი განწყობის შექმნას უწყობს ხელს.

ამასთან, დიპლომატებს აღარ შეუძლიათ ევროკავშირში უვიზოდ შესვლა, ხოლო სხვა რუსი ოფიციალური პირები და ბიზნესის წარმომდგენლები ვეღარ სარგებლობენ გამარტივებული სავიზო პროცედურებით. ეს გადაწყვეტილება არ ეხება რიგით რუს მოქალაქეებს.

ევროკავშირმა ე.წ. ოქროს პასპორტების გაცემის შეზღუდვის შესახებაც მიიღო ზომები. ეს პასპორტები მდიდარ რუსებს ევროკავშირის მოქალაქეებად გახდომის საშუალებას აძლევს.

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ – ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲚᲣᲙᲐᲨᲔᲜᲙᲝᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲐᲛ ᲝᲛᲨᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

ბელორუსში ლუკაშენკოს რეჟიმი მხარს უჭერს რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. კერძოდ, ის რუსეთს აძლევს საშუალებას, ბელორუსის ტერიტორიიდან ბალისტიკური რაკეტებით შეუტიოს უკრაინას და მის ტერიტორიაზე სამხედრო პერსონალი, მძიმე ტექნიკა, ტანკები და სამხედრო ტრანსპორტიორები შეიყვანოს. ის რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებს ნებას რთავს, ბელორუსის საჰაერო სივრცის გავლით გადავიდნენ უკრაინაში და მათ საწვავგასამართი სადგურებით უზრუნველჰყოფს. ამას გარდა, ლუკაშენკოს რეჟიმი რუსეთს ბელორუსის ტერიტორიაზე იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის განთავსების საშუალებასაც აძლევს.

ამის საპასუხოდ, ევროკავშირმა ბელორუსში სანქციები დააწესა იმ პირებზე, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ, რუსეთთან თანამშრომლობენ. ამასთან, მთელ რიგ მნიშვნელოვან სექტორებს ვაჭრობის უფლებაც შეუზღუდა.

შეზღუდვები შეეხო ბელორუსის სამხედრო პერსონალის მაღალი რანგის 42 წევრსაც. მათ ამ ომში შესრულებული როლისთვის აქტივები გაეყინათ და ევროკავშირში მოგზაურობა აეკრძალათ.

გარდა ამისა, ევროკავშირმა შეზღუდა ისეთი სახის საქონლით ვაჭრობა, რომელიც საჭიროა თამბაქოს პროდუქტის, მინერალური საწვავის, სამშენებლო მასალისა თუ სასუქების საწარმოებლად. შეზღუდვები დაწესდა ორმაგი დანიშნულების პროდუქციისა და ტექნოლოგიის და იმ სახის საქონლისა და ტექნოლოგიის ექსპორტზე, რომელიც ბელორუსის სამხედრო, თავდაცვისა და უშიშროების სექტორებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. შეიზღუდა ამ პროდუქტებთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებაც.

9 მარტს, ევროკავშირმა SWIFT-ის სისტემას ჩამოაშორა სამი ბელორუსული ბანკი – Belagroprombank, Dabrabyt ბანკი და ბელორუსის რესპუბლიკის განვითარების ბანკი. გარდა ამისა, აიკრძალა რეზერვებისა და აქტივების მართვასთან დაკავშირებული ოპერაციები ბელორუსის ცენტრალურ ბანკთან და ბელორუსთან ვაჭრობისა და ბელორუსში ინვესტირების მიზნით, სახელმწიფო დაფინანსების გაცემა.

დასასრული მე-8 გვერდზე

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ

მე-7 გვერდიდან

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲔᲑᲡ. ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲔᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ?

უმაღლესი წარმომადგენლის, ჯოზეფ ბორელის სიტყვებით, დაირღვა მორიგი ტაბუ: ისტორიაში პირველად, ევროკავშირი ლეტალურ აღჭურვილობას მესამე ქვეყანას მიაწოდებს.

უკრაინის მოთხოვნის პასუხად, 27 თებერვალს, ევროკავშირი ევროპის სამშვიდობო მექანიზმის ფინანსების მობილიზაციას დასთანხმდა. ამ გზით, ევროკავშირი უკრაინის არმიას ლეტალურ და არალეტალურ აღჭურვილობას მიაწოდებს. ეს გადაწყვეტილება უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებასა და მიმდინარე სამხედრო აგრესიისგან მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაში დაეხმარება.

უკრაინის შეიარაღებული ძალები 500 მილიონი ევროს ღირებულების შეიარაღებასა და აღჭურვილობას მიიღებენ. ამ თანხიდან 450 მილიონი ევრო – უკრაინის არმიისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას მოხმარდება, ხოლო დარჩენილი 50 მილიონი ევრო – საწვავსა და დამცავ აღჭურვილობას.

ᲠᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

ომით გამოწვეულ ჰუმანიტარულ საჭიროებებთან გასამკლავებლად, ევროკავშირი საკუთარი ბიუჯეტიდან, მინიმუმ, 500 მილიონ ევროს გამოყოფს. თანხა მოხმარდება, როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ საჭიროებებს, ასევე – ლტოლვილებს. ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა 1 მარტს, ევროპარლამენტში გამოსვლისას განაცხადა.

გარდა ამისა, ევროკომისიამ გამოაცხადა, რომ სასწრაფო დახმარებისკენ გაეროს მოწოდების საპასუხოდ, ჰუმანიტარული პროგრამებისთვის დამატებით 90 მილიონ ევროს გამოყოფს. თანხა ომით დაზარალებულ მშვიდობიან მოსახლეობას მოხმარდება. ევროკავშირის ეს ახალი ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში დარჩენილ თუ მოლდოვაში გადასულ ლტოლვილებს საკვებით, წყლით, სამედიცინო დახმარებითა და თავშესაფრით უზრუნველჰყოფს.

ევროკომისია უკრაინისთვის მატერიალური დახმარების კოორდინაციას, ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის საშუალებითაც ახორციელებს. ამჟამად, ევროკავშირის 26 წევრი სახელმწიფო მზადაა, უკრაინა პირველადი სამედიცინო დახმარების 8 მილიონი ნივთით მოამარაგოს. უკრაინას დამატებით გადაეცემა სამედიცინო დახმარების ნაკრებები, მედიკამენტები, საძილე ტომრები, გენერატორები, სასწრაფო დახმარების მანქანები, კარვები, საბნები და საველე სამზარეულოები.

მოლდოვამაც გააააქტიურა მექანიზმი, რათა მის ტერიტორიაზე გადასულ უკრაინელებს დაეხმაროს. ავსტრიამ, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა უკვე შესთავაზეს მას სასწრაფო მხარდაჭერა – მათ შორის, საცხოვრებელი ნივთებისა და სამედიცინო დახმარების სახით. 3 მარტს კი ევროკავშირმა გამოაცხადა, რომ მოლდოვას გადაუდებელი დახმარების სახით – 15 მილიონი ევრო, ხოლო სამოქალაქო დაცვისთვის – 5 მილიონი ევრო გამოუყო.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲡ

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მონაცემების მიხედვით, უკრაინა უკვე ორ მილიონზე მეტმა ლტოლვილმა დატოვა.

4 მარტს, ევროპის კავშირის საბჭო დროებითი დაცვის დირექტივის გააქტიურებაზე ერთსულოვნად შეთანხმდა. ეს გადაწყვეტილება ევროკავშირს შეაძლებინებს, სწრაფად და ეფექტიანად დაეხმაროს უკრაინელ ლტოლვილებს.

კერძოდ, ომს გამოქცეული ადამიანებისთვის უზრუნველყოფილი იქნება დროებითი დაცვა მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე. ეს მოიცავს რეზიდენტობისა და მუშაობის უფლებას, საცხოვრებელსა და საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობასა და სოციალურ, სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარებას.

დროებითი დაცვა დაუყოვნებლივ ვრცელდება უკრაინელ ლტოლვილებზე. ის ძალაში იქნება ერთი წლის განმავლობაში და შეიძლება გაგრძელდეს სამ წლამდე – მანამ, სანამ მდგომარეობა უკრაინაში საკმარისად არ გამოსწორდება იმისათვის, რომ ადამიანებს სახლებში დაბრუნება შეეძლოთ.

გარდა ამისა, ევროკავშირი დაცვით უზრუნველჰყოფს უკრაინაში ლეგალურად მცხოვრებ არაუკრაინული ეროვნების ადამიანებს. მათ შორის, მოიაზრებიან მოქალაქეობის არმქონე პირებიც, რომლებიც ვერ ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში ან სამშობლო რეგიონში – მაგალითად, თავშესაფრის მაძიებლებს ან საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებსა და მათი ოჯახის წევრებს. რაც შეეხება მათ, რომლებიც უკრაინაში მოკლე ვადით, ლეგალურად არიან ჩასულნი და შეუძლიათ, უსაფრთხოდ დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყანაში, სამშობლოში ჩასასვლელად, ისინი ევროკავშირში ტრანზიტით შესვლის უფლებას მიიღებენ.

ევროკავშირმა ომს გამოქცეული ადამიანების მხარდასაჭერად სასაზღვრო კონტროლიც გაამარტივა. კერძოდ, ევროკავშირში შესვლის პირობები მეტად მოქნილი ხდება. ასევე, იხსნება საზღვრის გადაკვეთის დროებითი პუნქტები და მარტივდება წვდომა სამაშველო მომსახურებასა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ის ლტოლვილები კი, რომლებსაც თან პირადი ნივთები მიაქვთ და შინაური ცხოველები ახლავთ, შესაბამის მხარდაჭერას იღებენ.

ევროკავშირის სპეციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ლტოლვილებისთვის, რომლებიც ომის გამო, უკრაინას ტოვებენ. აქ მათ შეუძლიათ გაეცნონ დაწვრილებით ინფორმაციას ევროკავშირში თავიანთი უფლებების შესახებ და მიიღონ პრაქტიკული რჩევები. აქვეა თავმოყრილი ბმულები, რომლებზე გადასვლითაც ევროკავშირის ცალკეულ წევრ სახელმწიფოში ამჟამად ხელმისაწვდომი მხარდაჭერის მოძიებაა შესაძლებელი.

ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ

24 თებერვალს, ომის დაწყების დღეს, უკრაინაში იზოლაციის რეჟიმის გამოცდა იყო დაგეგმილი. ეს გახლდათ პირველი ნაბიჯი იმ დიდი ხნის წინ შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად, რომლის მიზანიც უკრაინის ენერგოქსელის ევროკავშირის სისტემასთან შეერთებაა.

ამგვარად, ისე მოხდა, რომ უკრაინამ გეგმურ რეჟიმში გამოართო თავისი ენერგოსისტემა რუსეთის სისტემისგან. თუმცა, რუსეთის თავდასხმის შემდეგ, უკრაინამ გადაწყვიტა, რომ მას აღარ მიუერთდებოდა.

27 თებერვალს, უკრაინამ ევროკავშირს ევროპულ ქსელთან საგანგებო რეჟიმში სინქრონიზაცია სთხოვა. ევროკავშირს იმავე თხოვნით მიმართა მოლდოვამაც. 28 თებერვალს, ევროკავშირმა განაცხადა, რომ მაქსიმალურად სწრაფად დააკავშირებს უკრაინისა და მოლდოვის სისტემებს ევროკავშირის სისტემასთან.

ევროკავშირი უკრაინას გაზსაც აწვდის, რაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალი რევერსული ნაკადითაა შესაძლებელი. „პირველი ამგვარი მიწოდება ამ ზამთარს, უნგრეთიდან განხორციელდა. გაიზარდა სლოვაკეთსა და უკრაინას შორის რევერსული ნაკადის სიმძლავრეც. ახლა კი მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის შესახებ, რომ ეს პროცესი მომავალ გათბობის სეზონზეც განმეორდეს“, – აღნიშნა 28 თებერვალს, ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში, კადრი სიმსონმა.

დამატებით, ევროკომისიამ წევრ სახელმწიფოებს უკრაინის მიერ გამზადებული სია მიაწოდა, რომელიც ენერგოსექტორში მის გადაუდებელ საჭიროებებს მოიცავს. ამ სიაში შეტანილია დიზელი, ბენზინი, საავიაციო საწვავი და გენერატორები. პოლონეთიდან, ლიეტუვიდან და ჩეხეთიდან უკვე დაგეგმილია მოთხოვნილი რესურსების მიწოდება. ხოლო ბევრმა სხვა წევრმა სახელმწიფომ პირობა დადო, რომ უკრაინას ამ მიმართულებით დახმარების ხელს გაუწვდიდა.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲖᲔ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ?

28 თებერვალს, უკრაინამ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადს ოფიციალურად მოაწერა ხელი. 3 მარტს, იგივე გააკეთეს მოლდოვისა და საქართველოს რესპუბლიკებმაც. უკვე 7 მარტს კი, ევროკავშირი სამივე ქვეყნის განაცხადების განხილვის დაწყებაზე შეთანხმდა. ეს ნაბიჯი ტექნიკური ხასიათისაა და ის უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის ევროკავშირში კანდიდატი ქვეყნების სტატუსით მიღების პროცესის დაწყებას ნიშნავს.

1 მარტს მიღებულ რეზოლუციაში, ევროპარლამენტმა მოუწოდა ევროკავშირის ინსტიტუტებს, იმუშაონ უკრაინისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხზე. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ნებისმიერი ამგვარი პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლს. მის თანახმად, განაცხადის მიღების საპასუხოდ, ევროპულმა საბჭომ კონსულტაციები უნდა გაიაროს ევროკომისიასთან და ამის შემდეგ ჩაატაროს ხმის მიცემის პროცედურა. თუკი საბჭოს ყველა წევრი თანხმობას განაცხადებს, ქვეყანას ევროკავშირში მიიღებენ.

იმავდროულად, ევროპარლამენტმა მოუწოდა ევროკავშირს, განაგრძოს მუშაობა უკრაინის ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ინტეგრაციის მიმართულებით. ეს პროცესი უკვე არსებული ევროკავშირ-უკრაინის ასოცირების ხელშეკრულებაზე დაყრდნობით უნდა გაგრძელდეს.

მას შემდეგ, რაც 2014 წელს, ასოცირების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, უკრაინამ მასშტაბური რეფორმების პროგრამა დაიწყო. მისი მიზანი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და მოქალაქეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება გახლდათ. იმავდროულად, ევროკავშირმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა რეფორმების მხარდასაჭერად, გრანტებისა და სესხების სახით, 17 მილიარდ ევროზე მეტის მობილიზება შეძლეს.

ᲠᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ?

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ევროკავშირმა ხაზი გაუსვა თავის უწყვეტ მხარდაჭერას მოლდოვის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხში.

ომის პირველ კვირაში, მოლდოვამ უკრაინიდან გამოქცეულ 100 000-ზე მეტ ლტოლვილს, მათ შორის, 20 000-ზე მეტ ბავშვს თავისი საზღვარი უსაფრთხოდ გადააკვეთინა. ევროკავშირმა ხაზი გაუსვა, რომ ის სოლიდარობას უცხადებს მოლდოვას, რომელიც ახლა მრავალი ლტოლვილის თავშესაფრადაა ქცეული.

ევროკავშირი მოლდოვას, ლტოლვილთა კრიზისის ეფექტიანად სამართავად, 15 მილიონ ევროს გამოუყოფს, ხოლო დამატებით 5 მილიონ ევროს – სამოქალაქო დაცვისთვის გადასცემს. მოლდოვის თხოვნას, მიეღო დახმარება ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის ფარგლებში, თავდაპირველად საფრანგეთი, ავსტრია და ნიდერლანდები გამოეხმაურნენ. ამის შემდეგ, ხორვატიამ, დანიამ, საბერძნეთმა, ფინეთმა და შვედეთმაც გაუგზავნეს ქვეყანას სასწრაფო დახმარების მანქანები, კარვები, საბნები და საველე სამზარეულოები.

გარდა ამისა, ევროკავშირმა მოლდოვას უშიშროებისა და თავდაცვის სექტორებშიც აღუთქვა მხარდაჭერა. კერძოდ, ევროკავშირი მას კიბერუსაფრთხოების გაძლიერებაში დაეხმარება. ამ მიზნით, კიშინიოვში ექსპერტთა ჯგუფი გაეგზავრა. ის შეაფასებს საჭიროებებს და დაგეგმავს მხარდაჭერის კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებაც უმოკლეს ვადებში იქნება შესაძლებელი. კრიზისის შემთხვევაში, ევროკავშირი მოლდოვის შეიარაღებულ ძალებს სამედიცინო აღჭურვილობითა და მხარდაჭერით, მათ შორის, ლოგისტიკური დახმარებითაც უზრუნველჰყოფს.

ევროკავშირმა, ასევე, გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიუერთებს მოლდოვის ელექტროსისტემას ევროკავშირის ენერგოქსელს.

იმავდროულად, ევროკავშირი მოლდოვის დახმარებას გადაუდებელი საჭიროებების ფარგლებს გარეთაც აგრძელებს. ამას ის 600 მილიონი ევროს ბიუჯეტის მქონე ეკონომიკური აღდგენის გეგმის საშუალებით და ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის იმ ხუთი საფლაგმანო ინიციატივით აკეთებს, რომელიც 3.4 მილიარდი ევროს მობილიზაციას ისახავს მიზნად.

სამართალი

№10 16 მარტი 2022 წ

უნიტაზები, პლასტმასის მილები, კომპიუტერები – როგორ ძარცვავენ უკრაინას რუსი ოკუპანტები

დიდი კორუფცია უკრაინა-ბელორუსის საზღვარზე – ბელორუსელი მებაჟეების ომით ნაშოვნი დოლარები

ბათო ჯაფარიძე

მიმდინარე კვირა რუსეთ-უკრაინის ომში გადამწყვეტი იქნება. რუსეთს, რომელსაც საბრძოლო რესურსი ეწურება, სხვა გზა, უბრალოდ, არ აქვს – ვა-ბანკზე უნდა წავიდეს და ვინც არ იცის, ვეტყვი: რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც ორმაგი მოქალაქეობა აქვთ, კომისარიატიდან ჯარში გასაწვევი ქაღალდი მიუვიდათ ანუ რუსეთის რესურსი უკვე ისეა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებსაც კი ომში „ეპატიჟება“. ადამიანური რესურსის გარდა, სერიოზული პრობლემაა საბრძოლო მასალებისა თუ ტექნიკის თვალსაზრისით და ამ მიმართულებით რუსეთი დახმარებას ჩინეთს სთხოვს, რომელიც თავის მხრივ... ტაივანში შეჭრისთვის ემზადება. ჩინეთი ერთ-ერთია იმ იშვიათი სახელმწიფოებიდან, რომელიც რუსულ სანქციებს არ შეუერთდა და უფრო მეტიც, სანქციები მკაცრადაც გააკრიტიკა. თუ ჩინეთი რუსეთს იარაღსა და სამხედრო ტექნიკას მიაწვდის, ეს იქნება მაშველი რგოლი კრემლისთვის და, რაც მთავარია, ჩინური ბაზარი იქნება ის, რომელიც რუსეთს საერთაშორისო სანქციებს არ აგრძნობინებს. ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პირი კი ამტკიცებს, ჩინელებს დაველაპარაკებით და მოვახერხებთ, საერთო ენა გამოვნახოთო, თუმცა დაბეჯითებით ამის მტკიცება შეუძლებელია.

დაპყრობილ ქალაქებში კი რუსეთი ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარ წარმომადგენლებს ნიშნავს. ყველას ჰყავს თავისი „მეხუთე კოლონა“ და გამონაკლისი არც უკრაინაა. ასევე, რუს ჯარისკაცებს დაპყრობილი და დაბომბილი ქალაქების ძარცვაზე მწვანე შუქი აქვთ ანთებული. მათ მიაქვთ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლება, თუმცა მაინც ცდილობენ, რომ ძირითადად, ძვირადღირებული ტექნიკა დაიტაცონ, რადგან ფული და ძვირფასეულობა დევნილობაში წასულ მოსახლეობას თან აქვს წაღებული. აი, კომპიუტერები და ტელევიზორები კი ვერავინ ზიდა. ალბათ, გემახსოვრებათ, აგვისტოს ომის დროს, ქართული სოფლებიდან რუსებს უნიტაზებიც კი გაჰქონდათ და უკეთესი სიტუაცია არც უკრაინაშია – სახლებიდან სარეცხის მანქანებს, მაცივრებს, პერსონალურ კომპიუტერებს ეზიდებიან. იძარცვება სანტექნიკის მაღაზიები, საიდანაც ონკანები, პლასტმასის მილები და... ახალი უნიტაზები მიაქვთ.

„ახლა, უკრაინაში ყველაზე მეტად ისეთი მოდული ფასობს, რომელიც უსაფრთხო და დაცულია. ალბათ, იფიქრებთ, სად შეიძლება იყოს ასეთი, მაგრამ გვეწერწმუნეთ, არის. დანგრეული კორპუსების უმრავლეს ნაწილში, სარდაფები, სწორედ საყოფაცხოვრებო ტექნიკით არის სავსე, ზოგი მეპატრონეებმა ჩაზიდეს, ზოგიც – მოროდიორებმა, იმის იმედად, რომ როცა საქმე მშვიდობისკენ წავა, მიაკითხავენ. ჯარისკაცების მიერ ჩაზიდული ტექნიკა დანაღმულია, მეპატრონეების მიერ კი, უბრალოდ, ლამაზად დაწყობილი და მტვერი რომ არ დაედოს, შეფუთულიც კი“, – გვეუბნება უკრაინაში მყოფი საქართველოს მოქალაქე.

მისივე თქმით, ავტოსერვისებიდან გაჰყავთ მანქანები, ოღონდ ახლები კი არა (ახლების თითქმის 99% მეპატრონეებმა ომის დაწყებისთანავე გაიყვანეს), არამედ, გასაკეთებლად დატოვებულები. უკრაინიდან მოპარულ მსუბუქ მანქანებს, უპრობლემოდ ატარებს ბელორუსი – მესაზღვრეები 200-300 დოლარად მზად არიან თვალი დახუჭონ იმაზე, რომ ავტომობილს საბუთი არ აქვს და როგორც ამბობენ, კიდევ 200-300 დოლარის გადახდის შემთხვევაში, განბაჟებაც ხდება. როგორც ამბობენ, სწორედ რუსი ჯარისკაცების მიერ მოწყობილი ძარცვა-გლეჯვაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ რუსეთის მხარეს მსხვერპლი დიდია. ნაძარცვი ქალაქი მათი ინტერესის სფეროს აღარ წარმოადგენს და ადვილად თმობენ, უკრაინელებისთვის კი მიწის ყოველი კვადრატული მეტრი ძვირფასია და კბილებით იბრძვიან.

აღარავინ მალავს, რომ უკრაინაში საბრძოლველად ჩასულია ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის, როგორც ჯარი, ასევე, პოლიციის დანაყოფები. შესაძლოა, მათ ამის სურვილი არ ჰქონდათ, მაგრამ „დედა-რუსეთმა“ ბრძანა და ამიტომ, ისინი უარს ფიზიკურად ვერ იტყვიან.

სამხედროები ჩავიდნენ უკრაინაში სირიიდან, ჩეჩნეთის ლიდერმა, რამზან კადიროვმა პირადად ჩააკითხა მებრძოლებს, რათა მათი საბრძოლო განწყობა აემაღლებინა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ მიმდინარე კვირა ამ ომში გადამწყვეტი იქნება. ჰო, ცნობა, რომ 72 საათში, ვლადიმირ პუტინი უნდა მოეკლათ, რუსული სპეც-სამსახურების გავრცელებული გვგგონია. რატომ? – იმიტომ, რომ პუტინი ცოცხალია, შესაბამისად, მითი, რომ ის უკვდავია და ვერავინ მოერევა, უფრო განმტკიცდა. არ გაგიკვირდეთ, თუ რუსული მხარე იმასაც იტყვის, ჩვენს პრეზიდენტს თავს დაესხნენ, მაგრამ მოკვლა ვერ მოახერხესო.

რუსეთმა პირწმინდად წააგო საინფორმაციო ომი, რასაც ხელი იმანაც შეუწყო, რომ უცხოური სოციალური ქსელები ისეთ ინფორმაციას ბლოკავენ, რომელიც რუსების წარმატებასთან ასოცირდება. სოციალურ ქსელში, პრაქტიკულად, არ იძებნება ვიდეო, რომელიც რუსული ჯარის თუნდაც მცირე წარმატებას ასახავს და რუსეთს მოსახლეობაზე ეს უარყოფითად მოქმედებს.

რუსეთის მოსახლეობა ტყუილად არ გვიხსენებია. საქართველოში ჩრდილოეთის საზღვრიდან ყოველდღიურად ათასობით რუსი შემოდის, ისინი ქირაობენ ბინებს და ოჯახებით სახლდებიან. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის ფედერაციამ ქვეყნიდან სრულწლოვანი მამაკაცების გასვლა აკრძალა, საზღვრის გადმოკვეთას 18 წელს ზემოთ კაცები მაინც ახერხებენ და როგორც გვიხსნიან, ყველაფერი ეს რუს მებაჟეებთან 500 დოლარამდე ჯდება. მარნეული, რუსთავი, გარდაბანი, ბოლნისი და დმანისი – ეს ის მუნიციპალიტეტებია, სადაც ჯერჯერობით რუსეთის ყველაზე მეტი მოქალაქე ჩამოვიდა. აღარაფერს ვამბობთ თბილისზე, სადაც რუსეთის მოქალაქეთა შემოდინება ყველაზე თვალშისაცემია.

ისიც სათქმელია, რომ რუსებთან ერთად, საქართველოში უკრაინის არაერთი მოქალაქე ჩამოვიდა და მათი გარჩევა, ცოტა არ იყოს, ძნელია... ახლობელმა, რომელსაც ჩილიმ-ბარი აქვს, მასთან შესულ რუს ტურისტებს ექსპერიმენტი ჩაუტარა, არ მიუტანა ის დასაბოლებელი, რომელიც მოითხოვეს და ყველაზე ცუდი და არაარომატიზებული დაუდო. ამის მიუხედავად, რუსებმა მორჩილად მოწიეს ის, რაც მიუტანეს, ფული გადაიხადეს და ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე წავიდნენ. რატომღაც გვგგონია, სანამ გაურკვეველია, ვის მხარეს გადაიხრება ომის სასწორი, შემოსული რუსები „ტიშე ვოდი, ნიჟე ტრავი“ იქნებიან, მერე კი...

ეს ომი უკრაინამ არ უნდა წააგოს!

ქალების სერიული მკვლელობები ცხინვალში

ბათო ჯაფარიძე

როგორ აქცია კრიმინალმა მამამ ქალიშვილი მკვლელად

კრიმინალთა ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. მათ შეუძლიათ ისეთი ამბავი შეთხზან, რასაც გამოუცდელი ადამიანი თვალდახუჭული დაიჯერებს და გამოცდილ კრიმინალს წმინდანად გამოაცხადებს. ამიტომ, როცა საქმე რეციდივისტს ანუ ძალიან გამოცდილ დამნაშავეს ეხება, საქმეში ასევე გამოცდილ მაძებრებს რთავენ, რათა მათ შეძლონ და ტყუილ-მართალი გაარჩიონ.

70-იანი წლების მიწურულს, ცხინვალში, რომელიც მაშინ საქართველოს იურისპრუდენციის ქვეშ იყო, სამი მკვლელობა მოხდა. სამივე შემთხვევაში, გარდაცვლილი მარტოხელა, ასაკოვანი ქალები გახლდნენ, სამივე შემთხვევაში, მათი ბინებიდან ძვირფასეულობა წაიღეს (დიდი ოდენობის არაფერი) და სამივე შემთხვევაში, ქალბატონებს მარცხენა ყურზე საყურე შეხსნეს. ჰო, მკვლელობა ნაგანის სისტემის პისტოლეტით იყო ჩადენილი და სამივეს საფეთქელში ჰქონდა ნასროლი. თავიდან სამართალდამცავებმა ვერც მკვლელს მიაგნეს, ვერც – დაკარგულ ძვირფასეულობას. საქმე ძალიან რეზონანსული გახლდათ და ის გამოცდილ მაძებარს ებარა, თუმცა წინსვლა არ იყო. ყველასთვის მოულოდნელად, სწორედ იმ გამოცდილმა მაძებარმა ვიღაც დააკავა და განაცხადა, დამნაშავე სწორედ ეს არისო. მას მოწმეებიც ჰყავდა, რომლებმაც დაინახეს, როგორ გამოდიოდა სწორედ მკვლელობის დღეს ეს კაცი ქალების ბინიდან ანუ ორი მოწმე იყო, ერთი პირველ შემთხვევაზე, მეორე – მესამე შემთხვევაზე. მეორე მკვლელობის მოწმე არ არსებობდა, თუმცა ორიც საკმარისი იყო და ვინაიდან, მკვლელობის დროს ერთი იარაღი გამოიყენეს, მესამე მკვლელობაც მარტივად მიაკერეს დაკავებულს და... დახვრეტის ნაცვლად, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

სასამართლომ დახვრეტის მუხლი იმიტომ არ გამოიყენა, რომ ყურით მოთრეული ორი მოწმის გარდა, ეჭვმიტანილის წინააღმდეგ სხვა სამხილი, უბრალოდ, არ არსებობდა. ხუთწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ, ციხეში ბუნტისმაგვარი შემთხვევა მოხდა და არეულობის დროს, ერთ-ერთი სამართალდამცავი მოკლეს. ეს მკვლელობაც სამი ქალის მკვლელს შეასაღეს და სასჯელიც დაუმატეს. სასჯელის დამატებას ვინ ჩივის, სამართალდამცავის მკვლელობის გამო, მას პრაქტიკულად, ყოველდღიურად სცემდნენ და ეს მაშინ, როცა ის ამტკიცებდა, არავინ მომიკლავს და თუ მოვკალი, მკვლელობის იარაღი მანახეთო.

მკვლელობის იარაღი კი ვერ ნახეს. მაშინაც თქვეს, ყველაფერი ეს იმ გამომძიებელმა გააკეთა, რომელმაც მკვლელობების სერია გამოიძია და სავარუდოდ, დაკავებულის მიმართ პირადი ანგარიშები აქვსო.

„90-იანი წლების დასაწყისში, სამაჩაბლოში სიტუაცია აირია. „ადამონ ნიხასი“, იგივე სახალხო კრება, ჯიუტად მოითხოვდა სამაჩაბლოს გამოყოფას და ჩრდილო ოსეთის ასსრ-თან შეერთებას, რასაც ცხინვალში ქართული გვარდიის შესვლა მოჰყვა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა, რადგან ქართველ და ოს ხალხს მუდმივად ძმური დამოკიდებულება გვქონდა, ძალიან, ძალიან ხშირი იყო ქართულ-ოსური ოჯახები და ახლა ისე გამოდიოდა, მათ ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ. ამის ფონზე, სამართალდამცავებს ერთმანეთთან ძალიან კოლეგიალური, საქმიანი და მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა და ვცდილობდით, კონფლიქტი შეიარაღებული ბანდების თარეშს არ დამსგავსებოდა. ბოლომდე არც ეს გამოგვივიდა, მაგრამ ურთიერთობას მაინც ვინარჩუნებდით“, – პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი იმ ისტორიას იხსენებს, რომელიც ერთ-ერთი ბოლო იყო ქართულ-ოსური სამართალდამცავების ურთიერთთანამშრომლობის პერიოდში.

მოკლედ, 90-იანი წლების დასაწყისში, მორიგი მკვლელობა მოხდა. გარდაცვლილი ასაკოვანი ქალი მეზობელმა შემთხვევით ნახა. მას ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა საფეთქელთან ეტყობოდა და... მარცხენა საყურე აკლდა. ტყვიის გულის ექსპერტიზის შემდეგ დადგინდა, რომ ეს ქალიც ზუსტად იგივე იარაღით იყო მოკლული, რომლითაც, ლამის ათწლეულის წინ დახოცილი ქალები, მაგრამ როგორ? დამნაშავე კვლავ სასჯელს იხდიდა, კიდევ 10 წელზე მეტი ჰქონდა დარჩენილი და ამ მკვლელობის გახმაურების შემდეგ, საქმეში მისი ადვოკატი ჩაერთო, ჩემი კლიენტი უდანაშაულოა და არა მარტო ციხიდან გამოუშვით, არამედ, ფულადი კომპენსაციაც მიეცითო. სამართალდამცავები გაოგნებულები იყვნენ, რომ გამომძიებელი, ვინც ადრინდელი საქმე გახსნა, საკმაოდ პატივსაცემი და სახელოვანი მაძებარი იყო.

„პირველი მკვლელობების გამომძიებელს ცხინვალში შევხვდი. ახლა არ მოვყვები, როგორ და რა გზებით გადავედი, მშვიდობიანი კორიდორი ვინ უზრუნველყო... მოკლედ, შევხვდი. მაინტერესებდა, მის მიერ დაკავებული პირი მართლა დამნაშავე იყო თუ რამე პიროვნული აკავშირებდა. ჩემმა კოლეგამ გულთბილად მიმიღო, როცა დარწმუნდა, რომ მორიგი მკვლელობა ზუსტად იგივე ხელწერით მოხდა, ჩაფიქრდა, ფერი დაკარგა, შემდეგ კი მტკიცედ შემომხედა და მითხრა – იმის მიუხედავად, რომ არ მქონდა მყარი სამხილები, იმის მიუხედავად, რომ დაკავებული ყველაფერს უარყოფდა, გამომძიებელი დარწმუნებული იყო, რომ დანაშაული სწორედ მან ჩაიდინა ანუ ყველაფერი მთლიანად შინაგან რწმენაზე ააწყო და რაც მთავარია, საკუთარ სიმართლეში იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ციხეში ინციდენტიც თავად მოიფიქრა და განახორციელა, რათა დაკავებულისთვის სასჯელი დაემატებინათ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რაც ყველაზე საინტერესოა, რეალურად, ის ორი მოწმეც არ იყო ნამდვილი მოწმე. ერთს ძმის შვილი ჰყავდა ციხეში ხულიგნობის ბრალდებით, მეორეს – სიძე ჰყავდა დაკავებული თაღლითობის მუხლით და გამომძიებელმა ყალბი მოწმეობის სანაცვლოდ, ორივეს ახლობელი გაათავისუფლა.

თბილისელ გამომძიებლებს სერიოზული ეჭვი გაუჩნდათ, რომ დაკავებული რეალურად არაფერ შუაში იყო და ის, უბრალოდ, გამომძიებლის ახირებასა და თავდაჯერებულობას ეწირებოდა. პარალელურად, მისი ადვოკატი არ ისვენებდა, საქმის გადახედვას და კლიენტის გამოშვებას ითხოვდა, რაც ძალიან, ძალიან რეალური იყო.

„ერთადერთი ვარიანტი არსებობდა – შესაძლოა, დაკავებულს თანამზრახველი ჰყოლოდა, რომელსაც უთხრა, სად ინახებოდა იარაღი, დაავალა მკვლელობა იგივე ხელწერით და ამით შეიქმნა გათავისუფლების საფუძველი. ამიტომ, გამოვითხოვე იმ ადამიანების სია, რომლებმაც წინა მკვლელობებზე მისჯილი პირი ბოლო ორი წლის განმავლობაში ნახეს. სულ ათამდე ვიზიტი იყო და ყველა შემთხვევაში, მამაკაცის სანახავად ახალგაზრდა, 20 წლის გოგონა მიდიოდა. მოვიკითხე ეს გოგო და გავიგე, რომ თბილისში ცხოვრობდა, დედით რუსი, მამით – ბერძენი. როგორც გასაუბრების შემდეგ ამიხსნა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ კაცზე წიგნი დაეწერა და მასთან სასაუბროდ ამიტომაც დადიოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გოგონას ნათქვამის მიუხედავად, დაიწყეს მისი ოჯახის წევრების შესწავლა. მერე მეზობლები გამოკითხეს ფრთხილად და ერთ-ერთმა ქალმა თქვა, ამ რუს ქალს საყვარელი ჰყავდა, მერე ის კაცი მკვლელობების გამო დაიჭირესო. საინტერესო გახლდათ ისიც, რომ გოგო ერთადერთი შვილი იყო, მამაკაცის სამედიცინო ისტორიის შესწავლამ კი აჩვენა, რომ მას შვილი არასდროს ეყოლებოდა. გამოდიოდა, რომ უდიდესი ალბათობით, გოგონა სწორედ დაკავებული კაცის შვილი გახლდათ. ნუთუ, მამამ შვილს იარაღის ადგილსამყოფელი უთხრა, ისე დაამუშავა, რომ აიძულა ჩაედინა მკვლელობა, რათა შემდეგ თავისუფლებაზე გამოსულიყო?

საფუძვლიანად გაჩხრიკეს გოგოს სახლი, თუმცა ვერაფერი იპოვეს. სამაგიეროდ...

გოგონას ჩანთაში ნახეს გასაღები, რომელიც ძველი საკეტის იყო. არადა, თბილისში, ლამის ყველა ოჯახს ახალი საკეტი ეყენა კარზე, გარდა იმისა, რომ ახალი კორპუსები აშენდა, მაშინ ქურდობაც გახშირებული იყო და ყველა ცდილობდა, მყარი, ახალი საკეტი ჰქონოდა. გამომძიებლები ამ გასაღებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ და გოგონაზე თვალთვალი დააწესეს. რამდენიმე დღეში, ის ერთ-ერთ კორპუსში შევიდა და ერთოთახიანი ბინის კარი შეაღო. სამართალდამცავები ფეხდაფეხ მიჰყვნენ. მერე გაირკვა, მკვლელობაში ბრალდებულ მამაკაცს ეს ბინა წლების წინ ჰქონდა შეძენილი და რაღა თქმა უნდა, დაკავების შემდეგ, იქ არავინ ცხოვრობდა.

„ბინა ლამის აგურ-აგურ დავშალეთ, პარკეტიც კი ავყარეთ, მაგრამ იარაღს ვერ მივაგენით. სამაგიეროდ, მივაგენით ოთხ ცალ საყურეს, რომელთაგან სამი, წლების წინ მოკლულ ქალბატონებს ეკუთვნოდათ, ერთი – ბოლოს მოკლული ქალის იყო. გოგონამ აღიარებითი ჩვენება მოგვცა, ზუსტად ის თქვა, რაც ვივარაუდეთ ანუ მამამ აიძულა, ჩაედინა სასტიკი მკვლელობა, მაგრამ... არ თქვა, სად ინახავდა იარაღს და დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ მიმართულებით სიტყვაც ვერ დავაცდენინეთ“,-გვიყვება ბატონი თენგიზი.

რადგან ადამიანურმა რესურსმა შედეგი ვერ გამოიღო, ბინაში რკინის საძებნი აპარატი მიიტანეს და ის სამზარეულოში, საჰაერო გამწოვი მილის ქვეშ აწრიპინდა. გამორიცხული იყო, კედელი გამოენგრიათ, იარაღი შეენახათ და ისევ აეშენებინათ, რადგან მკვლელობა სამი კვირის მომხდარი იყო და სამი კვირის ამოშენებულს აუცილებლად შეამჩნევდნენ. ერთ-ერთი ოპერმუშაკი სკამზე ავიდა, საჰაეროს დამცავი ბადე მოხსნა და ფანარი შეანათა. საეჭვო არაფერი ჩანდა. მაშინ, მილიციის თანამშრომელმა ხელი შეყო და მოაფათურა. დაახლოებით, 4-5 სანტიმეტრზე ლურსმანი იყო მიჭედებული, ლურსმანზე – თოკი, რომელსაც ბოლოში კაუჭი ჰქონდა, კაუჭზე კი... ნაგანი კონწიალობდა. რაღა თქმა უნდა, ექსპერტიზამ მარტივად დაასკვნა, რომ მკვლელობები სწორედ ამ იარაღით იყო ჩადენილი და გოგონას განზრახ მკვლელობისთვის 11 წელიც მისცეს, თუმცა...

მერე ამბობდნენ, მხოლოდ ის კაცი კი არა, კიდევ ბევრი კრიმინალი გამოუშვეს სეპარატისტებმა ცხინვალის ციხიდან, თავისუფლების სანაცვლოდ კი ომში წასვლა და ქართველების დახოცვა მოსთხოვესო...

ბათო ჯაფარიძე

„ქილერი“ – სიტყვა, რომელიც არა მარტო ქართულ, არამედ, საბჭოთა სინამდვილეში ძალიან გვიან შემოვიდა. მანამდე იყო ტერმინი „დაქირავებული მკვლელი“, მაგრამ მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, ეს ტერმინიც იშვიათად გამოიყენებოდა. დაქირავებული მკვლელები კი არსებობდნენ, მაგრამ მათი სამსახური იშვიათად თუ სჭირდებოდა ვინმეს და თუ სერიოზული ადამიანის მოშორება იყო საჭირო, ხშირ შემთხვევაში, ამას ძლევამოსილი „კა გე ბე“ ისე აკეთებდა, უბედურ შემთხვევას მარტივად მიაწერდნენ ხოლმე. საქმე, რომელზეც ახლა გიამბობთ, 80-იანი წლების შუაწელს, ხარკოვში მოხდა. იმ ხარკოვში, რომელიც ახლა უმოწყალოდ იბომბება. მაშინ კი, 15 სახელმწიფო საბჭოთა კავშირის დროშის ქვეშ იყო გაერთიანებული და კომუნიზმის სახელით, მონობის უღელი ედგა.

ვინ არის მილიონერი ქალი, რომელმაც საკუთარი სიკვდილისთვის „ქილერი“ დაიქირავა

ხარკოვში, კორპუსის წინ, ავტოსადგომზე დილით გამოსულმა მამაკაცმა ხის ძირში მწოლიარე ქალი შენიშნა, რომელსაც ხალათი ჰქონდა გადაფარებული. კაცმა იფიქრა, ლოთია, ჩაეძინაო და გადაწყვიტა, დაეხედა. როცა ხალათი გადაწია, მიხვდა, ქალი გარდაცვლილი იყო. მაშინვე მილიციაში დარეკა და სამართალდამცავები ადგილზე დროულად მივიდნენ.

„ეს ამბავი დეტალურად იმის გამო ვიცი, რომ გამოძიების შემდეგ, საქმე, როგორც განსაკუთრებული, ყველა რესპუბლიკას გაეგზავნა. მაშინ წავიკითხეთ პირველად სიტყვა „ქილერი“, რომელიც ტერმინის – „დაქირავებული მკვლელი“ გვერდით, ფრჩხილებში ეწერა. გარდაცვლილი ქალი უბრალო ვინმე არ გახლდათ, იგი ხარკოვის ბაზრის მომარაგების უფროსი იყო, რაც იმ დროისთვის არათუ კარგ თანამდებობად ითვლებოდა, არამედ, არაოფიციალურ მილიონერობას ნიშნავდა“, – გვეუბნება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მართლაც, გარდაცვლილი უბრალო ვინმე ნამდვილად არ იყო. მას ხარკოვის ყველა მაღალჩინოსანი კარგად იცნობდა, არაერთხელ დასჭირვებიათ ხარისხიანი საკვები პროდუქტებით მომარაგება და ქალი ყოველთვის მზად იყო. ის გახლდათ ერთ-ერთი საკვანძო რგოლი იმ ჯაჭვში, რომელსაც, ზოგადად, საბჭოთა ქალაქების ხელმძღვანელობა შეადგენდა. ყველა ერთმანეთზე იყო დამოკიდებული, ყველა ფულს აკეთებდა და უმრავლეს შემთხვევაში, ყველა ერთმანეთს ითვალისწინებდა. ქალს ახალგაზრდობაში კუჭის ოპერაცია გაუკეთეს, ექიმებმა რაღაც ვერ გათვალეს და ამის შემდეგ, კიდევ ოთხი ქირურგიული ჩარევა დასჭირდა, რამაც, საბოლოო ჯამში, ის გამოიწვია, რომ საშვილოსნო ამოაჭრეს. ამიტომ, არავის უკვირდა, გარდაცვლილს ქმრად 20 წლით უმცროსი მამაკაცი რომ ჰყავდა – კაცი კარიერას იწყობდა, ქალი კი, 55 წლის ასაკში, თავს ბედნიერად გრძნობდა.

სიკვვდილის მიზეზი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა იყო. მკვლელმა თავისი საქმე ძალიან კარგად იცოდა, რადგან გასროლა ერთადერთი და პირდაპირ გულში იყო განხორციელებული. რაც მთავარია, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ქალი ავტოსადგომზე არ მოუკლავთ, ის იქ მანქანით მოიტანეს და ხალათი გადააფარეს. რისი თქმა უნდოდა ამით მკვლელს? – გარდაცვლილი იქ არ ცხოვრობდა და ერთადერთი, რაც აღნიშნულ კორპუსთან აკავშირებდა, ის გახლდათ, რომ იქ მისი მდივანი ცხოვრობდა. მდივანი ახალგაზრდა, 25 წლის გოგო იყო, რომელმაც უფროსის გარდაცვალება რომ გაიგო, შეიცხადა, მერე გაფითრდა, მერე ჩაფიქრდა და გამომძიებლებმა ჩათვალეს, რომ რაღაც იცოდა, მაგრამ არ ამბობდა. მკაცრი დაკითხვის მიუხედავად, გოგონა ჯიუტად იმეორებდა, არაფერი ვიცი, არაფერი დამინახავსო. ეჭვები მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, რაც გარდაცვლილის კაბინეტის ჩხრეკის შემდეგ, უჯრაში მდივნის გათავისუფლების ხელმოწერილი და ბეჭდიანი ბრძანება ნახეს. ბრძანება ზუსტად იმ დღეს იყო დაწერილი, როცა ქალი მოკლეს და შესაძლოა, ეს საბაბიც კი გამხდარიყო. გადაწყდა, მდივნის სახლი გაეჩხრიკათ და ჩხრეკამ შედეგი გამოიღო – საძინებელში, ლეიბის ქვეშ, ოქროს ძეწკვი იპოვეს, გარდაცვლილს კი აშკარად ემჩნეოდა, რომ სიკვდილის შემდეგ ძეწკვი მოაწყვიტეს და სხვა თანამშრომლებმაც დაადასტურეს, ეს ძეწკვი ჩვენს უფროსს მოუხსნელად ეკეთაო.

როცა ქალმა ძეწკვი დაინახა, ისევ ჩაფიქრდა, ბოლოს კი ამოილუღლუღა – დიახ, ჩემი უფროსი მე მოვკალიო. დაკითხვაზე გამოჩნდა, რომ მდივანს წარმოდგენა არ ჰქონდა, რით იყო მოკლული ადამიანი, ვის მკვლელობასაც აღიარებდა, ამტკიცებდა, ავტოსადგომზე ვესროლეო და სროლის ხმა არავის გაუგია. ერთადერთი ვარიანტი რჩებოდა – ის მიხვდა, ვის შეიძლებოდა ჩაედინა მკვლელობა, ვის შეიძლებოდა დარჩენოდა ან შეენახა ძეწკვი მისი ლეიბის ქვეშ და სწორედ იმ ადამიანს უფრთხილდებოდა.

დაკითხეს გარდაცვლილის ქმარიც, რომელიც თითქოს ბედნიერი ჩანდა. ყოველ შემთხვევაში, არ ნერვიულობდა, ალიბიც ჰქონდა და როცა გამომძიებელმა უთხრა, ეჭვმიტანილი დაკავებული გვყავს და ის თქვენი მეუღლის მდივანიაო, მამაკაცს სახე წაეშალა, მერე კი ღრიალი დაიწყო, ის უდანაშაულოა, ჩემი ცოლი მე მოვკალი, რადგან აღარ შემეძლო მის გვერდით ცხოვრება და მოვკალიო. ახლა სამართალდამცავებს ორი პირი ჰყავდათ, ორივე მზად იყო, ხელი მკვლელობაზე მოეწერა და თან ისე, რომ დაკითხვისას ვერ ამბობდნენ, სად წაიღეს მკვლელობის იარაღი, სხეულის რა ნაწილში მოარტყეს ტყვია, სად მოკლეს, როგორ ან რით მიიტანეს გვამი ადგილზე...

გამომძიებლები დარწმუნდნენ, რომ მკვლელი არცერთი მათგანი არ იყო, მაგრამ ერთმანეთი იმდენად უყვარდათ, მზად იყვნენ, მკვლელობა ეღიარებინათ.

ახლა ის გახლდათ საინტერესო, ვის შეეძლო მდივნის სახლში შესვლა ისე, რომ თავად ქალს ეჭვი არ გასჩენოდა და რაც მთავარია, იმ ვიღაცას მის საძინებელში, ლეიბის ქვეშ სამხილიც უნდა დაედო. მდივანმა ხელები გაასავსავა, ჩემთან ჩემი უფროსის ქმრის გარდა, არასდროს, არავინ დადიოდა, მშობლებიც კი, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, ორი წელია, აქეთ არ ყოფილან, მე ჩავდივარ და ვნახულობ ხოლმეო.

ამ განცხადებამ სამართალდამცავებს ახალი ძაფი მისცა ხელში – ვიღაცას წვდომა ჰქონდა მდივნის ჩანთაზე, საიდანაც ამოიღო გასაღები, გააკეთა ასლი, გასაღებით გააღო კარი, შევიდა, სამხილი დადო, გამოვიდა და კარი დაკეტა. მით უმეტეს, ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ საკეტს მართლაც ეტყობოდა ძლიერი მოქმედების ნიშნები ანუ გასაღების ასლი არ იყო ზუსტად ისეთი და გამღებს წვალება მოუხდა. მდივანი კიდევ ერთხელ დაკითხეს და პირდაპირ თქვა, ჩანთა უყურადღებოდ მხოლოდ სამსახურში მაქვს, გამორიცხულია, სხვაგან უპატრონოდ დავაგდო და რაც მთავარია, არსად დავდივარ, სახლი და სამსახურია ჩემი ძირითადი სამყოფელიო. გამოდიოდა, რომ ჩანთიდან გასაღები დაწესებულების რომელიმე თანამშრომელმა ამოიღო, მაგრამ რომელმა და რაც მთავარია, რატომ? თანაც, იმ თანამშრომელს შეეძლო გასაღების ნიმუში კი არ აეღო, არამედ, პირდაპირ გასაღები მიეტანა ხელოსანთან, გაკეთებას დალოდებოდა და შემდეგ ნამდვილი გასაღები ჩუმად ჩაედო მდივნის ჩანთაში. როგორც ქალმა თქვა, ბოლო დროს, დირექტორთან სიარულს დარაჯმა მოუხშირა და ის უფროსის კაბინეტში საათზე მეტ ხანსაც კი ჩერდებოდა. რა საერთო უნდა ჰქონოდათ დარაჯსა და დირექტორს ისეთი, რომ მათი საუბარი საათი გაგრძელებულიყო?

გამოძიება დარაჯით დაინტერესდა. ის ყოფილი სამხედრო აღმოჩნდა, რომელსაც ავღანეთის ომის დროს უმძიმესი ჭრილობა ჰქონდა მღებული – ცალი ფეხით კოჭლობდა, მარცხენა ხელზე სამი თითი აკლდა და ამიტომაც, დარაჯად მუშაობდა ახალგაზრდა კაცი. გამომძიებლები მასთან ბინის გასაჩხრეკად გაუფრთხილებლად და ორდერის გარეშე წავიდნენ.

ბინის ჩხრეკისას იარაღი ვერ ნახეს, მაგრამ ნახეს 25 ათასი მანეთი, რომელიც დარაჯისთვის ზედმეტად დიდი ფული იყო. მამაკაცმა კეფა მოიფხანა, ავღანეთში სამსახურის დროს მოვაგროვე და ახლა ვიზოგავო, მაგრამ არ დაუჯერეს და... ავტოფარეხიც გაუჩხრიკეს, სადაც იარაღი იპოვეს. ექსპერტიზამ მეორე დღესვე დასკვნა დადო – ქალი ამ იარაღით იყო მოკლული და რაც მთავარია, მოკლული იყო სწორედ ავტოფარეხში. ახლა ის იყო გასარკვევი, რა უნდოდა ქალს დარაჯის ავტოფარეხში?!

„ჩვენს უფროსს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს (ეს ექსპერტიზამაც დაადასტურა). ბოლოს მორფიც კი არ შველოდა, ისეთი ტკივილები ჰქონდა. ერთ დღეს, როცა მანქანით მოვიდა, ავტომობილიდან გადმოსვლა ვერ მოახერხა, ტირილი დაიწყო. მივედი, დახმარება შევთავაზე, რაღაცნაირად შემომხედა და მითხრა, კაბინეტში ამიყვანეო. მივეხმარე, კაბინეტში შევიყვანე და აღარ გამომიშვა. მითხრა, ზუსტად ვიცი, ორი თვეც ვერ ვიცოცხლებ და თან ის ორი თვე კოშმარული ტკივილები მექნება. ამიტომ, სიცოცხლე აღარ მინდა, მაგრამ მანამდე, ჩემს მდივანსა და ქმარს ანგარიში უნდა გავუსწორო, ისინი საყვარლები არიან, ჰგონიათ, ვერ ვხვდები და ამიტომ, ჩემი სიკვდილი მათ უნდა დაბრალდესო. მოკლედ, მან „ქილერად“ (ეს ფრაზა დარაჯს ავღანეთში ჰქონდა ნასწავლი) დამიქირავა, ის უნდა მომეკლა და ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც გავაკეთე. ამისთვის 25 ათასი მანეთი გადამიხადა და მეც ჯერ გასაღები მოვიპარე, შემდეგ ეს ძეწკვი ცოცხალს გამოვართვი, ლეიბის ქვეშ დავმალე, მანამდე მან ბრძანება დაწერა, რომელიც თქვენთვის საფუძველი უდნა ყოფილიყო, რომ მდივანზე გასულიყავით და მისი გვამიც სწორედ მდივნის კორპუსთან დავაგდე. ვნანობ თუ არა ჩადენილს? – არა, არ ვნანობ, რადგან ზუსტად ვიცი, როგორი ტკივილებისგან გავათავისუფლე ის ქალი“, – დაასრულა მოყოლა ავღანეთის ომის ვეტერანმა.

სასამართლომ „ჰუმანური აქტი“ ჯეროვნად ვერ შეაფასა და მკვლელს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 7 კილოგრამამდე „კოკაინი“ ამოიღო – ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულია ოთხი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა დროს ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავეს და უკანონო ბრუნვიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 7კილოგრამამდე „კოკაინი“, ასევე, სხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ამოიღეს.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებულები არიან: უცხო ქვეყნის მოქალაქე, 2001 წელს დაბადებული დ.ს., ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1991 წელს დაბადებული დ.გ., 1998 წელს დაბადებული ლ.კ. და 1962 წელს დაბადებული ზ.ლ.

დანაშაულები 5-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დ.ს.-ის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 5 კილოგრამზე მეტი „კოკაინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ასევე, ამოღებულია მის მიერ სარეალიზაციოდ განთავსებული 30 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“.

რაც შეეხება დ.გ.-ს, მისი პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 223 გრამი ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“. სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს, ბრალდებულის მიერ შემდგომი გასაღების მიზნით, ერთ-ერთ მისამართზე განთავსებული 40 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება ,,კოკაინი“.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბრალდებული ლ.კ.-ის პირადი ჩხრეკისას, 30 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღეს.

სულ სამართალდამცველებმა ამოიღეს 7 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“. ამოღებული ნარკოტიკის ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე, დაახლოებით, 7 მილიონამდე ლარს შეადგენს.

ამასთან, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერხვიანთან დაკავებული ზ.ლ.-ის პირადი ჩხრეკისას, ორი შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, 19-260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

პოლიციამ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის ბრალდებით, თბილისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1987 წელს დაბადებული შ.ს. ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შ.ს., მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში, თბილისში, სხვადასხვა მისამართზე მდებარე, ერთ-ერთი ბანკის კუთვნილი სწრაფი ჩარიცხვის აპარატების სიახლოვეს მყოფი აკვირდებოდა და იმახსოვრებდა მოქალაქეების მიერ გამოყენებული პლასტიკური ბარათის პინ-კოდებს. შემდეგ ბრალდებული გახსნილ მდგომარეობაში დარჩენილი ჩარიცხვის გვერდის გამოყენებით, მოქალაქეების კუთვნილი ანგარიშებიდან თანხებს საკუთარ ონლაინკაზინოსა და ტოტალიზატორის ანგარიშებზე რიცხავდა, ფულს კი სპეციალური „ზერო“ ბარათის გამოყენებით ანაღდებდა.

შ.ს.-ს დანაშაულებრივი ქმედებებით დაზარალებულ 14 მოქალაქეს 5 227 ლარის ოდენობის ქონებრივი ზიანი მიადგა.

გამოძიება ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

შსს-მ პროსტიტუციის ხელშეწყობისა და პროსტიტუციისათვის ფართის გადაცემისთვის ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი დააკავეს.

1961 წელს დაბადებულ მ.წ.-ს, 1962 წელს დაბადებულ მ.ნ.-სა და 1964 წელს დაბადებულ ი.ხ.-ს, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ პროსტიტუციის არაერთგზის ხელშეწყობაში ედებათ ბრალი, ხოლო 1984 წელს დაბადებული ა.მ., პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემაშია ბრალდებული.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მ.ნ., მ.წ. და ი.ხ., გარკვეული თანხის სანაცვლოდ, სისტემატურად ხელს უწყობდნენ პროსტიტუციაში ჩაბმულ ქალებს და უზრუნველყოფდნენ მათი ტრანსპორტით გადაადგილებას სექსუალური მომსახურეობის მიღების მსურველ კლიენტებთან.

რაც შეეხება მეოთხე ბრალდებულ ა.მ.-ს, გამოძიებით დადგინდა, რომ იგი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში ადმინისტრატორად მუშაობდა და აღნიშნული სასტუმროს ნომრებს პროსტიტუციისთვის გადასცემდა, რისთვისაც პროსტიტუციაში ჩაბმული ქალები მას სექსუალური მომსახურეობის გაწევით მიღებული ანაზღაურებიდან გარკვეულ თანხას უხდიდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ კასკადური ტრენინგები დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ კასკადური ტრენინგები დაიწყო.

სწავლება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე სერგი ბზიშვილმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ადამიანის უფლებების, მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების გუნდის ხელმძღვანელმა აგატა ნიებოიმ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელმა გიგი ბრეგაძემ გახსნეს.

სწავლების მიზანს წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ცოდნის გაღრმავება და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. პირველ ეტაპზე, კასკადური სწავლებების პრიორიტეტად განისაზღვრა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ.

კასკადური ტრენინგების განხორციელების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით, გადამზადდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2 200-მდე თანამშრომელი. სამომავლოდ იგეგმება ანალოგიური ტრენინგების სისტემატურად ჩატარება სამინისტროს სხვა შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლებისთვის.

როგორ ასაბუთებს უეფა „გაზპრომთან“ თანამშრომლობის გაწყვეტას

ბათო ჯაფარიძე

სპორტი, როგორც ომთან და აგრესიასთან ბრძოლის იარაღი

ბევრს კი ამტკიცებენ ხოლმე, სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთს არ უნდა მივაბათო, მაგრამ დღევანდელი რეალობა სხვაგვარია: სპორტი ისე გადაეჯაჭა პოლიტიკას, რომ უკრაინისა და რუსეთის აჩრდილი კარგა ხანს, წითელ, სისხლიან ზოლად გაჰყვება სპორტის ყველა სახეობას. სხვადასხვა ფედერაცია კვლავ მუშაობს სანქციებზე, რომლებსაც რუს სპორტსმენებსა თუ რუსულ ფედერაციებს უწესებს და ეს პროცესი, სავარაუდოდ, მაშინ გაჩერდება, როცა უკრაინაში ომი დასრულდება. ამ გადმოსახედიდან, ყველაზე ცუდ დღეში რომან აბრამოვიჩია – ლონდონის „ჩელსის“ მფლობელი, რომელიც წინა კვირის დასაწყისში ცდილობდა, „არისტოკრატები“ 4 მილიარდად გაეყიდა და მხოლოდ 3 მილიარდის გადამხდელი გამოჩნდა. რუსმა ოლიგარქმა 3 მილიარდზე უარი თქვა და...

„ბრიტანეთის მთავრობამ აბრამოვიჩს სანქციები დაუწესა და მისი აქტივები მთლიანად გაყინა. „ჩელსის“ სატრანსფერო ფანჯარაზე ფეხბურთელების ყიდვა და ამასთან ერთად, მოქმედ მოთამაშეებთან კონტრაქტების გახანგრძლივებაც აეკრძალება. „ჩელსი“ ვერ შეძლებს კლუბის მატჩების ბილეთების გაყიდვას და დაიკეტება მათი მაღაზიები ბრიტანეთში“, – წერს ინგლისური მედია.

„გაზპრომთან“ თანმშრომლობის შეწყვეტა სწორი გადაწყვეტილება იყო (უეფა „გაზპრომისგან“ წელიწადში, დაახლოებით, 40 მილიონ ევროს იღებდა). ამან ჩვენს ბიუჯეტს დარტყმა მიაყენა. უკრაინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ პაველკოს ყოველდღე ვესაუბრები. ამ გადაწყვეტილების მიღების წინ, რუსეთის ფეხბურთის კავშირი გავაფრთხილე – მშიშარა არ ვარ და ვინმეს ზურგსუკან არაფერს არ ვაკეთებ. ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა გაგვეთვალისწინებინა თუ არა, საიდან წამოვიდოდა ფული? თუ საკითხს ასე განვიხილავთ, ეს პოპულიზმია. პოლიტიკოსებისთვის ადვილია ყვირილი. ვინ არის უეფა, რომ ქვეყნის მართვა შეაფასოს? ყველა მსხვილი დასავლური კომპანია იცავს კი ადამიანის უფლებებს? პოლიტიკოსებმა რუსეთის მიმართ სანქციების შემოღებამდე გვთხოვეს „გაზპრომთან“ ურთიერთობის გაწყვეტა. ჩვენ ეს გავაკეთეთ, ევროპა კი მაინც ყიდულობს რუსულ გაზს. როგორი დამოკიდებულება მაქვს პუტინთან? ადრე ყველაფერი კორექტულად იყო, ის შეხვედრისთვის კარგად ემზადებოდა. თუმცა, არ მგონია ფეხბურთის ფანი იყოს, უფრო სპორტის სხვა სახეობები აინტერესებს. ეს პოლიტიკური კი არა, ჰუმანიტარული კრიზისია. სპორტსმენების დასჯის გამო გული მიკვდება: მათ ეს არ უნდოდათ, გადაწყვეტილება მათ არ მიუღიათ, მაგრამ მსოფლიოს გამო, ერთიანობა უნდა გამოვავლინოთ“, – ეს განცხადება უეფას პრეზიდენტმა, ალექსანდრ ჩეფერინმა გააკეთა.

ისე არ გაიგოთ, თითქოს მთელი ევროპა სპორტსმენებისადმი დაწესებული სანქციების მომხრე და ერთგულია.

„ვთვლი, რომ ადამიანების უფლებებს მისი სქესი, წარმომავლობა, რასა, ენა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებები არ უნდა განსაზღვრავდეს. ეს მოთხოვნები უამრავ კანონშია მითითებული, ახლა კი ისინი ირღვევა. ის სანქციები, რომლებიც რუს სპორტსმენებსა და რუსული კულტურის სფეროს წარმომადგენლებს უკრაინასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო დაუწესეს, რასიზმის ნამდვილი გამოვლინებაა“, – აღნიშნული განცხადება ევროპარლამენტარმა, პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წევრმა, კრისტინ ანდერსონმა გააკეთა.

ამასობაში, უკრაინაში, შერეული ორთაბრძოლების რუსი მებრძოლის, ვლადიმირ მინეევის ძმა, პიოტრ მინეევი უკრაინელმა სამხედროებმა მოკლეს. ამის შესახებ სპორტსმენმა სოციალურ ქსელში თავად დაწერა. მინეევი პუტინის ერთ-ერთი ფავორიტი სპორტსმენია და ვარაუდობდნენ, რომ ძმის გარდაცვალების მიუხედავად, მინეევი რუსეთის პრეზიდენტის საწინააღდეგო განცხადებას არ გააკეთებდა, თუმცა...

„მეგობრებო, ცა ჩამოიქცა და მიწა გადატრიალდა, ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, მაგრამ მაინც არ ვჩერდებით“, – ეს განცხადება მინეევმა საკუთარ გვერდზე დაწერა და ამით, პრაქტიკულად, დაადასტურა, რომ ომის წინააღმდეგია.

გემახსოვრებათ, მძიმეწონოსანმა მოკრივემ, მსოფლიოს ჩემპიონმა ალექსანდრ უსიკმა ბრიტანეთი ძმასთან ერთად დატოვა, უკრაინაში ჩავიდა და იარაღით ხელში სამშობლოს იცავს. ბოლო ბრძოლაში მან 20 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა და იმავე ბრიტანეთში მშვიდად ყოფნა შეეძლო, მაგრამ ასე არ მოიქცა,

როგორ ასაბუთებს უეფა „გაზპრომთან“ თანამშრომლობის გაწყვეტას

მე-13 გვერდიდან

გმირობა და პატრიოტიზმი კი სწორედ ესაა. უსიკისა და მისი ძმის გადაწყვეტილებას, მათი რუსი მეგობარი, შერეული ორთაბრძოლების მებრძოლი, პუტინის ღია მხარდამჭერი, ალექსანდრ შლემენკო გამოეხმაურა.

„ვიცი, რომ უსიკმა და მისმა ძმამ ხელში იარაღი რუსების წინააღმდეგ აიღეს. პირველ რიგში, მინდა ვთქვა, ნებისმიერ ადამიანს მივმართო, როცა რამეს ამბობ, კარგად უნდა დაფიქრდე და უფრო მეტად უნდა იფიქრო, როცა რაღაცას აკეთებ. განსაკუთრებით იმ ადამიანებს შეეხება, რომლებიც საზოგადოებირი აზრის ლიდერები არიან. შეიძლება ვიღაცას არ მოეწონოს, მაგრამ ომში ისე წასვლა, როგორც ძმებმა უსიკებმა გააკეთეს, შიშველი უკანალით ტანკზე ჯდომას მაგონებს. ტყეები დახოცილი უკრაინელებით სავსეა. კონკრეტულად მათ კი ერთი რამ შემიძლია ვუსურვო, დაე, ცოცხლები გადარჩნენ. ბიჭებო, შეინარჩუნეთ ოჯახები, ჯანმრთელობა და თუ იარაღს ხელი მოჰკიდეთ, სისულელეები არ გააკეთოთ. სიმართლე რომ გითხრათ, არ მინდა, მათ სხვებს მაგალითი მისცენ, რადგან ისინი სულით რუსი ბიჭები არიან, ბრძოლის ჟინი ზუსტად ჩვენნაირი აქვთ“, – განაცხადა შლემენკომ და ამ განცხადებიდან ორ საათში, ინსტაგრამზე მისი გამომწერების რიცხვი 30 000-ით შემცირდა.

კვლავ კიევის დამცველთა რიგებშია ვეტერანი უკრაინელი ჩოგბურთელი სერგეი სტახოვსკი. მან საჩოგბურთო კარიერა წელს დაასრულა და საცხოვრებლად დუბაიში გადავიდა.

როგორ ჩაერთო ომში, მან სწორედ ახლა თქვა: **„როდესაც ყველაფერი ეს დაიწყო, დუბაიში ვიყავით. ძალიან შემეშინდა და ვნერვიულობდი. უკვე კიევი იბომბებოდა, ნომერში ვერ გავჩერდი და რესტორანში ჩავედი, სადაც 6-7 ადამიანისგან შემდგარი რუსების ჯგუფი იყო. იცინოდნენ და კონფლიქტზე ხმაც კი არ დაუძრავთ... ჩემი ცოლი უკვე რაღაცას გრძნობდა და მუდმივად მეკითხებოდა, რას ვაპირებდი. ვერ შევძელი, მისთვის ყველაფერი ამეხსნა, ბავშვებს კი ვუთხარი, რომ მალე დავბრუნდებოდი და სამშობლოში გამოვემგზავრე. ეს რომ არ მექნა, ალბათ, საკუთარ თავს ვერასდროს ვაპატიებდი. უკრაინელმა კაცებმა ოჯახები სამშვიდობოს გაიყვანეს, თავად კი ომში დაბრუნდნენ. სხვაგვარად მეც ვერ ვიზამდი“...**

უკრაინის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანს, ანატოლი ტიმოშჩუკს, რომელიც ახლა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“ მუშაობს, ხელისუფლებამ ყველა ჯილდო და ორდენი ჩამოართვა. მეტიც, ტიმოშჩუკი ოფიციალურად გამოაცხადეს სამშობლოს მოღალატედ და მას უკრაინაში ჩასვლა სამუდამოდ აუკრძალეს. ფეხბურთის ფედერაციამ ყველა სიიდან ამოიღო ტიმოშჩუკის გვარი და ის, როგორც უკრაინის ნაკრების არათუ ყოფილი კაპიტანი, არამედ, როგორც ყოფილი წევრი, აღარ იძებნება.

ვეტერან ფეხბურთელს უმძიმესი პოსტი უძღვნა ყოფილმა მეუღლემ, ნადია ნავროტსკამ:

„ტოლიკ, შეხედე, ეს ჩვენი უკრაინელი ბავშვები არიან! ისეთები არიან, როგორიც შენი შვილები და მათ ყოველდღე კლავენ ისინი, ვისაც შენ უკანალს ულოკავ. გამოდის, რომ მათთან ერთად, ამ ბავშვებს შენც ხოცავ. ყოველდღე, როდესაც რესტორანში სადილობ და შენს მეძავებსაც აჭმევ, უკრაინელ ბავშვებს კლავ! როდესაც ბიზნესს აწარმოებ, ტანსაცმელს ყიდულობ და მანქანაში საწვავს ასხამ, მაშინაც ბავშვებს ხოცავ. შენ ყოველდღიურად ურიცხავ გადასახადებს ამ ველურებს, რომლებიც ამ ფულით რაკეტებს ყიდულობენ და ისევ ბავშვებს ესვრიან. გისურვებ, რომ ცხოვრების ბოლომდე, ამ ომში დაღუპული ბავშვების სახეები გესიზმრებოდეს“... მიუხედავად ამისა, ტიმოშჩუკს მედიასთან კომენტარი დღემდე არ გაუკეთებია და არც რუსეთი დაუტოვებია.

აქვე, შეიძლებოდა ვრცლად დაგვეწერა იმაზე, რომ რაგბი-ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებმა ბუქარესტში, რუმინეთს უმძიმეს ბრძოლაში, 26:23 მოუგო, იმაზე, რომ კრიშტიანუ რონალდუმ გასულ უქმეებზე, კარიერაში 807-ე გოლი გაიტანა და ამ შედეგით, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე მეტი გოლის გამტანი ფეხბურთელი გახდა, რომ NBA-ში ლებრონ ჯეიმსმა, ერთი შეხედვით, რიგითი შედეგიანი გადაცემა გააკეთა, თუმცა მერე გაირკვა, რომ ისტორიაში ერთადერთი კალათბურთელია, რომელსაც მინიმუმ, 30 000 ქულა, 10 000 მოხსნა და 10 000 შედეგიანი გადაცემა აქვს გაკეთებული, თუმცა... ოფიციალური მონაცემებით, უკრაინაში გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი 100-ს გასცდა და ასეთ დროს, თითქოს ყველაფერი ჩერდება, თითქოს ყველაფერი სულ ერთია...

განსაცდელი

(ნამდვილი ამბავი)

ნინო ზამთარაძე

იანვრის მზიანი დღე გათენდა. გამოძახებული ტაქსი დროზე მოვიდა და რკინიგზის სადგურზე წაგვიყვანა. როგორც ყოველთვის, ბაქანზე უამრავი ხალხი ირეოდა. მატარებელი ჩამოდგა, ყველამ ვაგონებს მიაშურა. უნდა ავღნიშნო, ეს იყო ძველი ვაგონებისასაგან შეკოწიწებული გრძელი მატარებელი, რომელსაც ვაგონები დანიშნულეისამებრ ეხსნებოდა და ებმებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენც ვაგონს მივაშურეთ, შვილთან და ორ ნათესავ ქალთან ერთად ვიყავი. ჩემი შვილი და ერთი ნათესავი ქალი ჩემზე წინ ავიდნენ. უკან მეორე ნათესავი ქალი მომყვებოდა. მატარებლის კიბეზე ფეხი ავდგი, ხელი სახელურს მოვკიდე და უცებ ეგრეთწოდებული მატარებლის ფართუკი თავზე დამეცა.

საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ნათესავმა ქალმა იკივლა, ეგონა, მოვკვდი.

ვაგონში შევედით, გატეხილი თავიდან სისხლი ღვრად მიოდა. გავითიშე. როცა აზრზე მოვედი, პირველად კაპლის სუნი ვიგრძენი, მერე – საშინელი თავის ტკივილი. მატარებელი დაიძრა... ჩემმა ახლობლებმა გამცილებელს სთხოვეს, სასწრაფო დახმარება გამოეძახა. გვითხრეს, სასწრაფო რიონში დაგვხვდებაო, თუმცა რიონში არავინ დაგვხვდა. ჩემმა ნათესავმა ანამ გამცილებელს ლაპარაკი გაუბა.

– ‘ფართუკის~ სახელური რატომ იყო გახსნილი?

– ეს ჩემი ბრალი არ არის, ხალხი ერთმანეთს არ უფრთხილდება – თქვენს წინ ტომრებიანი ქალი ავიდა, მან აჰკრა სახელურს ხელი და გაიხსნა. – თუ დაინახეთ სახელური გახსნილი იყო, რატომ არ ჩაკეტეთ, ეს ხომ თქვენი მოვალეობაა?

– მე ხალხი გავაფრთხილე, რომ ვაგონს არ ‘მისეოდა~...

– შეკითხვაზე არ მიპასუხეთ: თუ დაინახეთ, რომ გახსნილი იყო, რატომ არ დაიყვირეთ, სახელური გახსნილია, ხელი არ მოჰკიდოთო?

– არ დამინახავს, თუ გახსნილი იყო...

– ასეთი შემთხვევა სხვა დროსაც ყოფილა?

– ხო, ხდება ხოლმე.

– კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ გამცილებლების დაუდევრობის გამო ადამიანებს თავები უსკდებათ. ყველაფერი თქვენი ბრალია, ამისათვის პასუხს აგებთ.

გამცილებელი ისტერიულად აკივლდა:

– რა, ეს მატარებელი დენიკინისდროინდელი და ჭუჭყიანი რომაა, ჩემი ბრალია? ნახეთ, როგორ გაწკრიალებულია ბათუმის შემადგგენლობა. მგზავრები რატომ არ აპროტესტებთ?

– თქვენ თემა შეცვალეთ, – უთხრა ანამ და კუპეში დაბრუნდა.

ამასობაში მატარებელი ზესტაფონის სადგურში შევიდა, დაპირებული სასწრაფო დახმარებაც მოვიდა – ჭრილობა გამისუფთავეს და შემიხვიეს. ექიმს მოვთხოვე ჩემი მდგომარეობა წერილობით დაედასტურებია. აქტი უნდა შევადგინოთო, განაცხადა ექიმმა. რა აქტი, რის აქტი, – უყვირა მატარებლის უფროსმა და მთელი სასწრაფო დახმარების შემადგენლობა მატარებლიდან კინწისკვრით ჩაყარა.

ყველაფერი ორად მეჩვენებოდა. თავი დამიმძიმდა... გვერდით ნათესავი ქალი მაია მეჯდა, რაღაცებს მელაპარაკებოდა, მაგრამ ვერ ვიგებდი... გამაყუჩებელი დავლიე... ჩამეძინა.

როცა გავიღვიძე, მითხრეს, გორში ვართო. მატარებელი ელვისსისწრაფით მიჰქროდა. გონება მოვიკრიბე. ანას ვუთხი, ამათ ეს არ უნდა შერჩეთ, პოლიციას შევატყობინებ-მეთქი, ისიც დამეთანხმა... ტელეფონი ავიღე, პატრულს დავურეკე და მომხდარის შესახებ ვაცნობე.

თბილისში, სადგურის ბაქანზე პატრული და სასწრაფო დახმარების მანქანა დაგვხვდა.სასწრაფოს ექიმმა ჭრილობა გასინჯა და მითხრა, ‘მიხეილის~ საავადმყოფოში უნდა გადაგიყვანოთ და ჭრილობა გავკეროთო, თუმცა შემდეგ საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი მითხრეს, რადგან არც ასორმოცდაათი ლარი მქონდა და არც – სადაზღვეო პოლისი. ავუხსენი, ბაბუა დავკრძალე და იქედან მოვდივარ, არ ვმუშაობ, რისი ფული მექნება-მეთქი, მაგრამ...

ამასობაში გამომძიებელიც მოვიდა და მითხრა:

– ქალბატონო, რას ითხოვთ?

– რკინიგზისაგან მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას.

ასევე, მოვითხოვე, სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ. გამომძიებელმა იმთავითვე განაცხადა, ეს უბედური შემთხვევაა, გამოსაძიებელი არაფერიაო და ასეთი ისტორია მოგვიყვა: ერთი თვის წინ აზერბაიჯანის მოქალაქეს ბაქანზე ფეხი ორმოში ჩაუვარდა და მოიტეხა. რკინიგზას უჩივლა, რატომ იყო დაზიანებული ბაქანიო, მაგრამ რკინიგზის დეპარტამენტის იურისტებმა მითხრეს, არაფერს გადავუხდითო...

მოკლე, გამომძიებელი მარწმუნებდა, რკინიგზის წინააღმდეგ ჩივილს აზრი არ აქვს, არაფერი გამოგივაო. ირგვლივ პოლიციელები მოგროვდნენ, ერთ-ერთმა ჩემსშვილს უთხრა.

– შენ, აქ რა გინდა?

– ეს დედაჩემია.

– მერე, რა ცხვირი ჩამოგიშვია?

– სასაცილოდ მაქვს საქმე?

– ისე, რამდენი წლის ხარ?

– თვრამეტის...

– ბიჭო, შენხელა რომ ვიყავი, ცოლ-შვილი მყავდა, კაცი ვიყავი. შენ კი ქალივით ტირი.

– შენი დედაც...

პოლიციელმა ლუკას ქეჩოშო ხელი წაავლო და ყვირილი დაუწყო, მოგკლავო. მივვარდი, ბავშვი ხელიდან ვერ გამოვგლიჯე. გული წამივიდა. როცა გონზე მოვედი, სახლში ვიყავი.

მეუღლე, მეგობართან ერთად, პოლიციაში წავიდა და, ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა ლუკა შინ მოიყვანა. ბავშვს ადამიანის ფერი არ ედო, ერთიანად კანკალებდა, ტუჩები უთრთოდა.

– შვილო, გცემეს?

– არა, მეძინება, თავი დამანებე.

დილით საგამოძიებო განყოფილებაში წავედი. ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, დამკითხეს. ეს ფორმალობა დაახლოებით სამი საათი გაგრძელდა...

მეორე დღეს პოლიკლინიკაში წავედი და ჭრილობაზე ნაკერები დამადეს.

შემდეგ, სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზაზე მივედი. ჭრილობას დახედეს და ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩამიწერეს. გული მერეოდა, ლაპარაკის თავიც არ მქონდა.

– რა, ნაკერები დაგადეს ქალი ფეხზე ვეღარ დგახარ და ესაა მსუბუქი დაზიანება? – აღშფოთდა მეზობელი, – ეს ქვეყანა მართლა ჩალითაა დახურული და არაფერი ეშველებაო.

ორი დღე ლუკა საწოლიდან არ ამდგარა, არც ხმას გვცემდა. ვუთხარი, თუ ასე გააგრძელებ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგიყვან-მეთქი. მერე, კეთილი ინება, ადგა და გამოგვიცხადა.

– ინსტიტუტში აღარ ვივლი. მე საქართველოში არ ვიცხოვრებ. გერმანულის მასწავლებელი დამიქირავეთ. ბინა გავყიდოთ და გერმანიაში წავიდეთ!

მე და ჩემი ერთმანეთს მეუღლე გაოგნებულები ვუყურებდით.

– გია, ხომ ხედავ, ბავშვი რა მდგომარეობაშია. მასწავლებელი დავუქირაოთ. რამდენიმე დღეში გადაუვლის.

– კარგიო, დამთანხმდა გია.

ლუკა იმ დღიდან სახლიდან არ გასულა. გერმანულის მასწავლებელი შინ მოდიოდა. ჩემმა შვილმა გარესამყაროსთან კავშირი გაწყვიტა...

ნევროპათოლოგი ი გამოვიძახე, გამსინჯა და მითხრა, ტვინის შერყევა გაქვს, დაწექი, აქეთ-იქეთ ნუ დადიხარო. როცა ჩემი ამბავი მოვუყევი, მომიგო, გადარჩენილხარ. ერთი წლის წინ ეს ,,ფართუკი~ ხაშურში კაცს დაეცა და მოკლაო.

ათი დღე ვიწექი, ჩემი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მერე, წავედი და თავზე ტომოგრამა გადავიღე. საფეთქელის ქაცვზე ბზარი აღმომაჩნდა. ექიმმა მითხრა, ეს ქაცვი რომ გატეხილიყო, მაშინვე მოკვდებოდი და სანამ ბზარი არ შეხორცდება ტკივილები, რა თქმა უნდა, გექნებაო. სამი თვე თავი მტკიოდა და საშინელ სისუსტეს ვგრძნობდი.

ერთხელაც, ტელეფონზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის გამომძიებელი დამიკავშირდა, მეორე დღეს კი შინ მესტუმრა, რამდენიმე კითხვა დამისვა, რაღაც ფურცლები შეავსო და წავიდა. ერთ თვის შემდეგ დამირეკა და მითხრა, ქუთაისში ჩამოდით, აუცილებელია, რომ საოლქო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა გაიაროთო. წავედი. ტომოგრამის პასუხი და ნერვოპათოლოგის დასკვნა წარვადგინე, თუმცა სამედიცინო ექსპერტიზამ ისევ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ჩამიწერა. რისთვის წავედი ქუთაისში? თყუილად – ფული დავხარჯე, ვიჩხუბე, ვიყვირე, მაგრამ ვინ მომისმინა?

თვენახევრის შემდეგ ჩაატარეს ე.წ. ტექნიკური ექსპერტიზა – შვილთან ერთად მივედი, რკინიგზის დეპოში შევედი, ვხედავ ვაგონს, მაგრამ მაშინვე მივხვდი, ეს არიყო ის ვაგონი, შეფერილობითაც განსხვავდებოდა. ხუთმა ექსპერტმა ვაგონს ე.წ. ექსპერტოზა ჩაუტარა. ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და მითხრა:

– ქალბატონო, პასუხი დადებითია.

– დედა, ეს სხვა ვაგონია, ის მწვანე იყო, არა, ვარდისფერი.

– ჰო, ვიცი შვილო.

თვალზე ცრემლი მომადგა და უკან გამოვბრუნდი, კამათს აზრი არ ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, გამომძიებელმა დამირეკა და მკითხა:

– ქალბატონო მარინა, ტექნიკური ექსპერტიზით კმაყოფილი ხართ?

– დამცინით?

– არა, როგორ გეკადრებათ.

– იცით, რას გეტყვით, თქვენ სულელი ხომ არ გგონივართ? რკინიგზას კბილით იმიტომ იცავთ, რომ გადაგიხადეს!

– ამას როგორ დაამტკიცებთ?

– რა დამტკიცება უნდა, ყველაფერი ისედაც ნათელია. მრცხვენია, რომ ამ უსამართლო ქვეყანაში ვცხოვრობ! განათლებით იურისტი ვარ. თქვენ კი გმომძიებელი არ ხართ, მხოლოდ დაკვეთებს ასრულებთ. ეს უზნეობაა.

– ქალბატონო, მარინა, წესიერად ილაპარაკეთ.

– თვენ შეასრულეთ მოვალეობა, სირცხვილია მარიონეტობა.

ამ საუბრის შემდეგ შვიდი თვე გავიდა. არავინ შემომხმიანებია. არც მე შემიწუხებია თავი სასამართლოში სიარულით...

ლუკამ გერმანული ისწავლა... საქართველოდან წასვლა ვერ გადავაფიქრებინეთ... ბინა გავყიდეთ... სული მტკივა, მენანება ჩემი ქვეყნის დატოვება... მალე ავსტრიაში ვიქნებით. დავბრუნდები კი ოდესმე ჩემს მიწაზე?!

ყველაზე ძვირადღირებული ღორის ყველია?

ცოტა ხნის წინ, პლანეტაზე, ყველაზე ძვირადღირებული ყველი სერბიაში, ვირის რძისგან დამზადებული „პულე“ გახლდათ, რომლის ერთი კილოგრამის ფასი 1 300 დოლარი იყო. შესაძლოა, ახლა ეს ტიტული სხვა ცხოველისგან მიღებულ პროდუქტს ერგოს – ჰოლანდიელმა ფერმერმა, ერიკ სტეგინკმა ყველის მცირე პარტია დაამზადა, რომელიც იშვიათობითა და მაღალი ფასით, „ვირის ყველს“ გაუწევს კონკურენციას. ნედლეულად ფერმერმა ღორის რძე გამოიყენა.

ამჟამად, მსოფლიოში პირველი „ღორის ყველი“ შესანახად-დასაძველებლადაა გაგზავნილი, რათა მისი გემო და კონსისტენცია უფრო გაკეთილშობილდეს. ჯერჯერობით, ფერმერი საიდუმლოდ ინახავს, რა გემო აქვს მის ყველს, თუმცა გეგმავს, რომ აუქციონზე გაიტანოს სასტარტო ფასით – 1 500 ევრო, 450 გრამი. ასე რომ, შესაძლოა, „ღორის ყველი“ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული და იშვიათი აღმოჩნდეს.

ძაღლი პატრონს სიცოცხლეს უხანგრძლივებს

ადამიანის ოთხფეხა მეგობრები დადებითად მოქმედებენ პატრონების ჯანმრთელობაზე. ამერიკელი სწავლულების მტკიცებით, მათ სიცოცხლის გახანგრძლივებაც კი შეუძლიათ. სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ სახლში ძაღლის ცხოვრება, პატრონების ნაადრევ სიკვდილს 25%-ით ამცირებს. ამ დასკვნამდე სწავლულები ათწლიანი ექსპერიმენტის შედეგების შესწავლით მივიდნენ, რომელშიც 3.8 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა.

განსაკუთრებით სასარგებლოა ოთხფეხა მეგობრის ყოლა იმ ადამიანებისთვის, რომელთაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აქვთ – მათი სიკვდილიანობის რისკი 31%-ით მცირდება. შინაური ცხოველები პატრონებს ეხმარებიან, დაძლიონ სტრესი, მარტოობა, გაიუმჯობესონ ფსიქიკური ჯანმრთელობა. ძაღლის ყოლა ფიზიკურ აქტივობასაც ითვალისწინებს – მას გასეირნება სჭირდება და შედეგად, პატრონი მეტ დროს ატარებს სუფთა ჰაერზე.

გემი, რომელიც არ ირწევა

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ადამიანები უარს ამბობენ საკრუიზო ლაინერით მოგზაურობაზე, ზღვის დაავადებაა. თუმცა, X-Bow-ის გემების ახალი კონსტრუქციის წყალობით, ეს პრობლემა წარსულში დარჩება. სიახლის ავტორი ნორვეგიული გემთმშენებელი კომპანია Ulstein-ია. მათი გემები ისეა დაპროექტებული, რომ ადამიანებს ზღვაში ყოფნა გაუადვილონ და დიარეის შეგრძნება აარიდონ. ტრადიციული ლაინერებისგან განსხვავებით, რომლებიც ტალღებზე ზემოთ-ქვემოთ მოძრაობენ, X-Bow-ის გემები, ბრტყელი ცხვირების წყალობით, „ხვრეტენ“ შემხვედრ ტალღებს და მათ ენერგიას ხომალდის გვერდებზე ფანტავენ. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, მინიმუმამდე შემცირდეს ვიბრაციისა და დარყტმების რაოდენობა. ახალი კონსტრუქციის კიდევ ერთი უპირატესობა უამინდობისას საწვავის უფრო ნაკლები ხარჯია.

ლუდი და მეხსიერება

თუკი ინგლისელებს დავუჯერებთ, რომლებმაც ერთდროულად რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს სხვადასხვა სახის ლუდზე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მეხსიერების დაკარგვისა და გონებასუსტობის მიზეზი ეს ქარვისფერი სასმელია. მკვლევარების ცდებში 5 ათასი მამაკაცი და 2 ათასი სუსტი სქესის წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 65 წლამდე იყო. შედეგად, ბრიტანელმა სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ლუდი არა მხოლოდ მეხსიერების დარღვევას იწვევს, არამედ, ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებსაც აქვეითებს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ტვინის ქსოვილებში, ნეგატიურ პროცესებს წარმოშობს.

ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევარები გვაფრთხილებენ, რომ ამ ქარვისფერი სითხის მიღების დღიური დოზა, სულ რაღაც, 35 გრამია. თუ ამ ნიშნულს გადავაჭარბებთ, თავის ტვინის ქერქში იწყება დამანგრეველი პროცესები. მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები ლუდის მოყვარულებს 6 წლით ადრე ეწყებათ მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ სვამენ ამ სასმელს.

სამსახურში ძილი პოპულარული ხდება

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, დღის ძილის პროცედურებს ატარებენ, რომელსაც საკუთარ თანამშრომლებს კომპანიები უფინანსებენ. ძნელია, თავს მოდუნება დააძალო, მაგრამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ეს გაცილებით ადვილია შუადღესაც კი. „ინსტრუქტორი გვეხმარება მენტალური პაუზის გაკეთებაში და მინი-შვებულებაში გვაგზავნის ნახევარი საათით“, – ამბობს ამ „მეცადინეობების“ ერთ-ერთი ორგანიზატორი Sofia Future Farm-ის ცენტრიდან.

უამრავ კერძო კომპანიაში, ასევე, ეკლესიებსა და სკოლებშიც დაიწყეს სამუშაო დროიდან ნახევარი საათის გამოყოფა „შუადღის ძილისთვის“. ეს გადაწყვეტილება იმითაა განპირობებული, რომ ამგვარი შესვენების შემდეგ, ადამიანი თავს გაცილებით უკეთ და თავდაჯერებულად გრძნობს. თუკი ადრე, ფინეთში, სამსახურში ძილი სიზარმცესთან ასოცირდებოდა, ახლა მას პროდუქტიულობას უკავშირებენ.

გონებრივი შესაძლებლობები წყალზეა დამოკიდებული

ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები წყალზეა დამოკიდებული, – ასეთ განცხადებას აკეთებენ ამერიკელი სწავლულები. მათი თქმით, წყალი შეუცვლელი რესურსია ორგანიზმისთვის და ასევე, სუბსტანციაა, რომელიც ტვინის მუშაობას უზრუნველჰყოფს. მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ თავის ტვინის შიგნით განთავსებულია რეცეპტორები, რომლებიც აქტიურდებიან ორგანიზმში წყლის მიწოდებით. ამ რეცეპტორების ამოცანაა, გაძლიერონ ტვინის აქტიურობა სპეციალური ენერგეტიკული პროცესების ხარჯზე.

სწავლულები გვირჩევენ, წყალი ქაოტურად კი არა, არამედ, გარკვეული რეჟიმის დაცვით მივიღოთ. მაგალითად, რამდენიმე ყლუპი დავლიოთ საუზმემდე და საუზმის შემდეგ, ხოლო დღის განმავლობაში – სისტემატურად, ერთსა და იმავე დროს. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამგვარად, ტონუსი მოიმატებს მთელ ორგანიზმში, ადამიანი მეტი ენერგიით აღივსება და მისი ინტელექტუალური უნარებიც გაუმჯობესდება. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წყალი ხარისხიანი ანუ მაქსიმალურად სუფთა იყოს.

იაპონელებს ტირილისკენ მოუწოდებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, სულ უფრო მეტი კომპანია და სკოლა მოუწოდებს მოსწავლეებსა და საკუთარ თანამშრომლებს, იტირონ, რათა სტრესი მოიხსნან და ფსიქიკურად ჯანმრთელები იყვნენ. ექსპერტების მოსაზრებით, რომელსაც ეყრდნობიან დაწესებულებების ხელმძღვანელები, სიხარულისა თუ დარდის ცრემლები დაძაბულობას ხსნის და ვეგეტატიურ ნერვულ სისტემას აწყნარებს. ტირილი – ეს თავდაცვაა გამუდმებული სტრესისგან.

სკოლებში, ტირილის სპეციალური გაკვეთილები ტარდება. აქ ასწავლიან, როგორ მოიხსნან დაძაბულობა ცრემლების დახმარებით. ექსპერტების თქმით, ეს უფრო ეფექტური საშუალებაა, ვიდრე სიცილი ან ძილი. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში საკმაოდ ხშირია ადამიანების სიკვდილი სტრესისა და სამსახურში გადაღლილობის გამო, უმეტესწილად, ეს თვითმკვლელობებია. ყოველწლიურად, ქვეყანაში ასობით ასეთი შემთხვევა ფიქსირდება.

მონეტა ძველი ვისკით გამოუშვეს

პოლონურმა კომპანიამ Lux Coin, რომელიც სამახსოვრო მონეტებს უშვებს, ექსკლუზიური ნამუშევარი წარადგინა. ესაა ოქროს მონეტა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძველი ვისკის წვეთს შეიცავს. საუბარია 1862 წლის Old Vatted Glenlivet-ზე. აღსანიშნავია, რომ მონეტა არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშია, არამედ, კუნძულოვანი სახელმწიფო ტუვალუს საგადასახდო საშუალებაცაა. მისი შემკვეთიც, სწორედ ტუვალუს მთავრობაა. მონეტის ცენტრში ჰერმეტული კაფსულაა მოთავსებული, უძველესი ვისკის წვეთით. ის 57 გრამი სუფთა ოქროსგანაა დამზადებული და მასზე სასმელის დამზადების პროცესია ასახული. მთლიანობაში, 300 ასეთი მონეტა მოიჭრა, თითოეულის ღირებულება კი 9 240 დოლარია.

თვალებით სუნთქვა ისწავლა

ჩინელმა საბრძოლო ხელოვნების ოსტატმა თვალებით ამოსუნთქვა ისწავლა. ახლა მას შეუძლია ანთებული სანთლები ისე ჩააქროს, რომ პირი და ცხვირი არ გამოიყენოს. 35 წლის ლინ ჩჟუჟანგი, ქალაქ კაიფენიდან, იხშობს პირსა და ცხვირს, იკეთებს სპეციალურ სათვალეს, რომლის შუშებსაც ორი პატარა სპეციალური მილი უერთდება და ამ მილიდან ცეცხლს აქრობს. ამ მეთოდით, მან ერთ წუთში, 12 სანთლის ჩაქრობა მოახერხა.

ჩინელის თქმით, ეს ოსტატობა კუნ-ფუს დამსახურებაა, რომელსაც ის 8 წლის ასაკიდან მისდევს. მან ჯერ კიდევ ბავშვობაში აღმოაჩინა, რომ თვალებით სუნთქვა შესაძლებელია. როგორც ჩინური მედია წერს, ლინის უნიკალური შესაძლებლობები ამით არ ამოიწურება. ამ ტრიუკის გარდა, მას ლუდის ბოთლების დამტვრევა ისე შეუძლია, რომ მხოლოდ ძირი სძვრება, დანარჩენი ნაწილი კი უვნებელი რჩება.

შვილთან კონტაქტის გამო დააჯარიმეს



Encounter Number:

DESCRIPTION	CPT CODE	QUANTITY	AMOUNT
LEVEL 1		19	$52.82
LEVEL 3		38	$212.04
DELIVERY C SECTION		79	$3106.28
SKIN TO SKIN AFTER C-SEC		1	$39.95
IP LACTATION CONSULT LVL 1		2	$81.96
BILLED SELECT MED			$0.00
COMMERCIAL INSURANCE PAYMENT		1	-$6087.15
CONTRACTUAL ALLOWANCE ADJUSTMENT		1	-$5566.82
PAYMENTS & ADJUSTMENTS:	-$11653.97	CURRENT BALANCE:	$1626.52

აშშ-ს იუტას შტატის მცხოვრებ მამაკაცს, მეუღლის სამშობიაროდან გამოწერისას, საკუთარ ახალშობილთან კონტაქტის გამო, ანგარიში წარუდგინეს. როგორც გაირკვა, რაიან გრესლიმ ბავშვი ხელში აიყვანა, რომელიც საკეისრო კვეთის შედეგად გაჩნდა. დამატებითი პროცედურებისთვის, რაც პატარას მამასთან შეხების შემდეგ დასჭირდა, რაიანს 40 დოლარის გადახდას სთხოვდნენ. გრესლის ჩვილი მაშინ ეჭირა ხელში, როცა მედდა პირველ ფოტოებს უღებდა ბავშვსა და დედას. როგორც კლინიკის წარმომადგენელი აცხადებს, მამაკაცს ფული იმისთვის კი არ მოსთხოვეს, რომ პატარას შეეხო, არამედ, დამატებითი მოვლისთვის, რაც მას უფროსი ადამიანის კანთან კონტაქტის შემდეგ დასჭირდა.

გასართობი ექსტრემის მოყვარულებისთვის

მორიგი გასართობი პროექტი ექსტრემის მოყვარულებისთვის ავსტრალიაში მოიფიქრეს და წარმატებით ახორციელებენ კიდეც. თავგადასავლების მაძიებლებსა და ადრენალინის მოყვარულებს, რომელთაც ყველაფერი გამოსცადეს და აღარ იციან, რა მოიფიქრონ, შესანიშნავი შანსი ეძლევათ – მათ პლასტიკატის გამჭვირვალე ცილინდრით, ნიანგებით სავსე აუზში ჩაუშვებენ. ზოგიერთებს, უფრო თამამებს, ჩვეულებრივ გალიას სთავზობენ და ასე უშვებენ წყლის სიღრმეში რეპტილიებთან შესახვედრად. როგორც ამ გასართობის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, ამ პროცესში იმდენი ადრენალინი მიიღო, რომ ეს ემოცია კარგა ხანს არ დაავიწყდება.

ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობას გაანადგურებს



უახლოესი 60 წლის განმავლობაში, ხელოვნურმა ინტელექტმა, შესაძლოა, სრულიად გაანადგურობს კაცობრიობა, – ასეთ პროგნოზებს აკეთებენ სწავლულები. ამჟამად, რობოტოტექნიკა საკმაოდ სწრაფად ვითარდება. ტექნიკური რევოლუციის რისკის შეფასების შემდეგ, მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ 10 წლის შემდეგ, რობოტები 10%-ით ისე იფიქრებენ, როგორც ადამიანები, 2040 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 50%-ს მიაღწევს. 2075 წლისთვის, სწავლულთა თქმით, რობოტების აზროვნება მაქსიმალურად ახლოს იქნება ადამიანის აზროვნებასთან. თუმცა, მიუხედავად „მანქანების აჯანყების“ საშიშროებისა, სპეციალისტები კვლავაც მუშაობენ რობოტოტექნიკის განვითარებაზე, რადგან მაღალტექნოლოგიური, ზუსტი მანქანები საჭიროა სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით, მედიცინაში.

რობოტმა ოპერაცია დამოუკიდებლად ჩაატარა



მედიცინაში მორიგი მინი-რევოლუცია მოხდა. პირველად ისტორიაში, ადამიანის დაუხმარებლად, რობოტმა წარმატებით ჩაატარა ქირურგიული ოპერაცია. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, „ჭკვიანმა მანქანამ“ ამ ამოცანას ადამიანზე გაცილებით უკეთ გაართვა თავი. რობოტს ჰქვია Smart Tissue Autonomous Robot (STAR). მან ლაპარასკოპიული ოპერაცია – ნაწლავის ანასტომოზი შეასრულა ღორის ნაწლავებზე.

ეს საკმაოდ რთული პროცედურაა ლაპარასკოპიული მეთოდით, რომელიც ძალიან მაღალ სიზუსტესa და უამრავ განმეორებად მოძრაობას მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიღწევა შედეგია მსგავსი ოპერაციისა, რომელიც სხვა რობოტმა, ჯერ კიდევ 2016 წელს ჩაატარა. თუმცა, მაშინ სისტემა ადამიანის მხრიდან ხშირ ჩარევას ითხოვდა, ოპერაციაც არ იყო ლაპარასკოპიული. შეიძლება ითქვას, რომ სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში, ამ მხრივ, მეცნიერებამ დიდ პროგრესს მიაღწია.

შუბლზე „რქები“ ამოუვიდა

სილამაზე რომ მსხვერპლს მოითხოვს, ყველამ ვიცით, თუმცა ზოგჯერ, ეს მსხვერპლი ძალიან დიდია. ასე დაემართა ავსტრალიელ ქალს, რომელმაც სახის კანის დაჭიმვის კოსმეტიკური პროცედურა ჩაიტარა. ასეთ შედეგს ის ნამდვილად არ ელოდა. მან გაახალგაზრდავების პოპულარული პროცედურა, ეგრეთ წოდებული, Fox Eye ჩაიტარა, რომლის დროსაც, წარბები და თვალის გარე კუთხეები ზემოთ იჭიმება ხსნადი ძაფების მეშვეობით და „მელიის თვალის“ ეფექტი იქმნება. ეს პროცედურა საკმაოდ მარტივია და არ საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას – ადგილობრივი ანესთეზიით, სპეციალისტს კანქვეშ, შპრიცით პოლიდიოქსანონი შეჰყავს.

როგორც ჩანს, ამ ავსტრალიელს არ გაუმართლა, პროცესი ასე მარტივად არ განვითარდა: კოსმეტიკური პროცედურიდან ცოტა ხნის შემდეგ, მისი წარბები ისევ დაეშვა ადრინდელ დონეზე, საფეთქლებთან კი კოპები გამოუვიდა, რომლებიც რქებს წააგავს. „ცხოვრებაში, ამაზე მეტად, არაფერი მინანია“, – განაცხადა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეოში, დაზარალებულმა ქალმა.

ყველაზე რთული ენა გამოავლინეს

ოსლოს უნივერსიტეტის სპეციალისტების მოსაზრებით, მსოფლიოს მასშტაბით, შესწავლის მხრივ, ყველაზე რთულია პირახანის ხალხის დიალექტი. ეს ხალხი ბრაზილიაში, ამაზონის ჯუნგლებში ცხოვრობენ. ამ ენის განსაკუთრებულობა მის სტვენისმაგვარ ბგერებშია. უცხო ადამიანს ამ ხალხის ლაპარაკი სტვენასავით ესმის და ამის გამო, მისი შესწავლა ძალიან ძნელია. ასევე, უნიკალურია ისიც, რომ ამ დიალექტში ზმნები მხოლოდ მომავალ და წარსულ დროებში გამოიყენება. გარდა ამისა, არ არის არსებითი სახელები მხოლობით ან მრავლობით რიცხვში. ერთი და იგივე ხმოვანზე ან თანხმოვანზე აქცენტის დასმა ისე შეიძლება, რომ სიტყვის მნიშვნელობა კარდინალურად იცვლება.

შაქრის დღიური დოზა 2 ჭიქა ღვინოა

ბრიტანელმა მკვლევარებმა Alcohol Health Alliance-დან დაადგინეს, რომ შაქრის მაქსიმალური, დღიური დოზის მისაღებად საკმარისია , ადამიანმა დღეში მხოლოდ ორი ჭიქა ღვინო მიირთვას. დამოუკიდებელი ლაბორატორიის სპეციალისტებმა, ნისლიან ალბიონზე, ცნობილი ბრენდების წითელი, თეთრი, ვარდისფერი და ცქრიალა ღვინოები შეისწავლეს. დადგინდა, რომ ზოგიერთი სახეობის ერთი ბოთლი სასმელი 60 გრამამდე შაქარს შეიცავს, რაც ერთ მინანქრიან „დონატში“ შაქრის შემცველობასაც კი აღემატება. ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეკომენდაციის თანახმად, ზრდასრულმა ადამიანმა შეიძლება, დღეში, მაქსიმუმ, 30 გრამი შაქარი მიიღოს. ასე რომ, დღიური ლიმიტის მისაღწევად, საკმარისია, ადამიანმა ორი ჭიქა ღვინო მიირთვას.

დედოფალმა უკრაინული „ვიშივანკა“ ჩაიცვა

ესპანეთის მეფის, ფილიპ VI-ის მეუღლემ, დედოფალმა ლეტიციამ, ტრადიციული ნეიტრალიტეტი დაარღვია და უკრაინული მოქარგული პერანგი ჩაიცვა, ამ ქვეყნის მხარდასაჭერად. ამ „ვიშივანკაში“ გამოწყობილი მივიდა ლეტიცია Mutua Madrileña-ის საქველმოქმედო საღამოზე. უკრაინული სამოსით მან ფოტოგრაფებისთვისაც იპოზიორა და სცენაზეც გამოჩნდა. როგორც თავად ჟურნალისტები აღნიშნავენ, მონარქები, ჩეულებრივ, არ აკეთებენ კომენტარს პოლიტიკურ კონფლიქტებსა და ომებზე, თუმცა ამჯერად, გამონაკლისის სახით, ესპანეთის დედოფალმა, საკუთარი ჩაცმულობით, მხარი დაუჭირა უკრაინას რუს დამპყრობლებთან ბრძოლაში.

საბანკო ბარათი ვარჯიშისთვის დაგაჯილდოვებთ

ამერიკულმა გამაჯანსაღებელმა კომპანიამ – Paceline, უჩვეულო საბანკო ბარათი Visa Signature Paceline გამოუშვა, რომელიც მის მფლობელებს ფიზიკური აქტივობისთვის დაასაჩუქრებს. მაგალითად, თუკი საბაზო „ქეშბექი“ ბარათზე 1.5%-ს შეადგენს, მისი გაორმაგება შესაძლებელი იქნება კვირაში 150-საათიანი ვარჯიშით. ვარჯიშის ინტენსიურობა მიმაგრებულია კლიენტის ანგარიშზე, სპეციალური აპლიკაციისა და სმარტ-საათების მეშვეობით, რომლებსაც ადამიანის ფიზიკური დატვირთვის რეგისტრირება შეუძლიათ. კომპანია Visa Signature Paceline, კლიენტებისთვის არ აწესებს შეზღუდვას ვარჯიშების სახეობებში. საკმარისია, მომხმარებელს კვირაში, არანაკლებ 150 საათის განმავლობაში, პულსი გახშირებული ჰქონდეს.

ყველაზე ახალგაზრდა მწერალი 5 წლისაა

ბელა-ჯეი დარქი ნისლიან ალბიონზე ცხოვრობს. ის მხოლოდ 5 წლისაა და მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მწერალი გახდა მას შემდეგ, რაც მისი პირველი წიგნი – „დაკარგული კატა“ გამოიცა. გოგონამ მსობლებს ჯერ კიდევ შარშან განუცხადა, რომ წიგნის დაწერას აპირებდა, თუმცა ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ ეს ხუმრობა არ იყო. პატარა ბრიტანელმა წიგნი საკუთარი ილუსტრაციებითაც გააფორმა. ბელას შემოქმედება, რასაკვირველია, ზღაპარია და ის კატა მოგიზე მოგვითხრობს, რომელიც თავგადასავლების საძებნელად წავა და გზა აებნევა. დაკარგული მოგის ისტორია პატარა მკითხველს ასწავლის, რომ დედის გარეშე გარეთ არ უნდა წავიდეს.

ბელას დედა, 27 წლის ჩელსი საიმი ამბობს, რომ შვილით ძალიან ამაყობს. „დაკარგული კატის“ ყიდვა „ამაზონზეა“ შესაძლებელი და მისი ფასი 4 გირვანქა სტერლინგია. მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ავტორის ტიტული შარშან, 7 წლის ინდოელმა გოგონამ მოიპოვა. იმისთვის, რომ ბელა ოფიციალურად რეკორდსმენი გახდეს, მისი წიგნის 1 000 ეგზემპლარი უნდა გაიყიდოს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.